რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 7 თებერვალი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 30 — ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა — № 30

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისთვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ერთობა"-ზე

ხელის მოწერის პირობები:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 თვით | — 4 მან. 50 კ. | 6 თვით | — 27 მანეთი |
| 2 თვით | — 9 მანეთი. | 1 წლით | — 50 მანეთი |
| 3 თვით | — 13 მ. 50 კ. | ცალკე № ყველგან 20 კ. | |

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) უომელ შემთხვევაში უცვლელი დარჩება,

შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ მოითხოვა.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:

Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА".

ამხ. და თანამგრძნობთ ვსთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.

სამოქალაქო უწყების კავკასიის ბეითალთა საბჭო ულრმესი მწუხარებით აუწყებს ამხანაგთ და მოქალაქეთ, რომ მიმდინარე წლის 3 თებერვალს ქ. ელისავეტპოლისა და ს. ზურნაბათის გზაზე ვერაგულათ მოკლულ იქმნენ ზურნაბათის შავი ჭირის წინაალმდეგ მებრძოლ სადგურის ბეითლები:

ალექსანდრე ივანეს ძე სილვანოვი და გიორგი გრიგოლის ძე ეერნოკოვი და აგრეთვე სადგურის მეეტლე სილიბისტრო ხარჩენკო.

პანაშვიდი უდროოთ დაკარგულთა სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება ხუთშაბათს 8 თებერ. დღის 1 ს. ალექსანდრე ნეველის სამხედრო სობოროში.

მწუხარებით გულ-მოკლული მეუღლე შუშანიკა, შვილები: ვარო, შაქრო, კოლა, გიგუა და მარო, ძმები: პეტრე და სერგი ზუბიევები და დაი კატო ზუბიევისა ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს ძვირფასი

ივანე სტეფანეს ძე ზუბიევის

გარდაცვალებას. გამოსვენება არამიანცის საავათმყოფოდან ხუთშაბათს 8 თებერვალს დილის 9 საათზე. მიცვალებულს წაასვენებენ გრიგურ-საუჯის ეკლესიაზე. დაკრძალვა მოხდება ხოჯევანქში (2—1)

ღრმათ დამწუხრებულნი: დედა დარია ანდრიას ასული, მამა ისიდორე ივანეს ძე, შვილები: ალექსანდრა, ივანე და სერგო ნიქობაძეები, აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ მათი ძვირფასი შვილის (გორის ქალთა გიმნაზიის მე-7 კლასის მოსწავლის)

ელიჩკას

უდროვოთ გარდაცვალებას. მიცვალებულის დაკრძალვა მოხდება ქ. ხაშურში 8 თებერვ. ხუთშაბათს ნაშუადღევს 3 საათზე.

გულდათუთქულნი: დედა ნინო და ძმა იასე ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს 8 თებერვალს პეტრე-პავლეს სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება საორმოცო წირვა და პანაშვიდი

ალექსი თედორეს ძე ვარდიაშვილის

სულის მოსახსენებლათ. (1—1)

ღრმად დამწუხრებულნი დეიდები: მარიამ ანდრიას ასული ქართველიშვილისა და სოფიო ანდრიას ასული გიორგაძისა ქმრით და შვილებითურთ, აუწყებენ ნაცნობ-ნათესავთ მათი ძვირფასი დისწულის (გორის გიმნაზიის მე-7 კლასის მოსწავლის)

ელიჩკა ნიქობაძის ასულის

უდროვოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. ხაშურში ხუთშაბათს 8 თებერვალს ნაშუადღევს 3 საათზე. (1—1)

4 თებერვალს ღამით მძიმე და ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

სტეფანე ანდრიას ძე ნასყიდოვი

რასაც ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ და მეგობრებს მწუხარებით გულ მოკლული მეუღლე სალომია გრიგოლის ასული თავის შვილებით. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათ. მიცვალებულის სახლში (დიდიმთავრის ქ. № 113) გამოთხოვების დღეთ დანიშნულია ხუთშაბათი 8 თებერვალი. მიცვალებულს გამოასვენებენ დილის 10 საათზე. წაასვენებენ დიდუბის ეკლესიაში, დაკრძალვა კი მოხდება კუკიის მართლმადიდებელთა სასაფლაოზე. (2—1).

ვაგზლის კერძო სამკურნალო.

შიხინოვის აფთიაქის გვერდით ვაგზლის ქუჩაზე

იღებენ ექიმები-სპეციალისტები:

ექ. ბოკერია ივ.—ქირურგიული სნეულებანი. ყოველ-დღე 2—3 საათამდე.

ექ. ვაშაკიძე ექვ.—შინაგანი და ნერვების სნეულებანი, ყოველ-დღე 11—12 საათ.

ექიმი-ქალი იოსელიანი მარ.—ქალის სნეულებანი, 10,5—11,5 საათ. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

ექ. კლდიაშვილი ვლ.—შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ-დღე 1—2 საათ.

რჩევა ერთი მანეთი, აპერაცია შეთანხმებით.

## საგარეო საფრთხის წინაშე

ამიერ-კავკასიის მცხოვრებნი სერიოზულ საფრთხის წინაშე დგანან. დიდი საფრთხის წინაშე სდგას არა მარტო რევოლიუციონური დემოკრატიის თავისუფლება, განსაცდელშია აგრეთვე მისი ფიზიკური არსებობაც.

მას მერე, რაც კავკასიის ფრონტიდან რუსის ჯარი დაიძრა და მთელი ფრონტი გაშიშვლდა, მდგომარეობამ კატასტროფული ხასიათი მიიღო. აქ მცხოვრებთ არავითარი საშუალება არ მოეპოებათ გარეშე მტრის წინაშე თავი დაიცვან და სისხლითა და დიდი მსხვერპლით მოპოებული რევოლიუცია უზრუნველყონ. ფინანსიური და ეკონომიური მდგომარეობა კრიტიკულია, ხალხის შეიარაღება და მისი მებრძოლ ერთეულათ გადაქცევა ობიექტიურ და სუბიექტიურ პირობების გამო შეუძლებელი ხდება.

აი—ასეთ პირობებში გარეშე მტერს, თუნდაც იგი სავსებით დასუსტებული იყოს, მაინც მეტი საშუალება ექნება მოწინაალმდეგეს წინაშე გაილაშქროს და დაპყრობითი მიზანი პრაქტიკულათ განახორციელოს.

ამიერ-კავკასიის წინაშე სდგას ისეთი საგარეო მტერი, რომლის ისტორიული მისწრაფება კავკასიის დაპყრობისაკენ არის მიმართული. გარდა ჩვეულებრივი ეკონომიური ინტერესებისა, მას აქვს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა. მთელი საუკუნოების განმავლობაში აღმოსავლეთის სახელმწიფოები ამიერ-კავკასიის დაპყრობისაკენ იყო მიპყრობილი და ამის გარშემო განუწყვეტელი ომები სწარმოებდა. განსაკუთრებით მას მერე, რაც ჩრდილოეთით რუსეთის სახელმწიფო აღორძინდა და მან კავკასიაში ფეხი მოიკიდა და აქეთ ირანისაკენ მაზრების მოპოება დაიწყო, ოსმალეთისათვის ჩრდილოეთის საფრთხე მთელი თავის სიგრძე-სიგანით წარმოიშვა. ამ ნიადაგზევე წარმოიშვა ოსმალეთის თანამედროვე მსოფლიო ომში ჩარევა და ძლიერ მოკავშირესთან ერთად ამ საფრთხის თავიდან აცილება. მართალია ოთხი წლის მსოფლიო ომის ვანმავლობაში ოსმალეთის მთავრობა წარმოუდგენლათ დასუსტდა, მან ახალი ტერიტორიების მაგიერ კავკასიის ფრონტზე ძველიც დაჰკარგა და იგი ამით მეტათ უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდა. მაგრამ სახალხო კომისარების უმგვანო საგარეო პოლიტიკის გამო ყოვლად უძლურები შევიქენით, როგორც დასავლეთის, ისე ამიერ-კავკასიის ფრონტზე. ორივე ფრონტზე ჩვენ ყოვლად უნუგეშო მდგომარეობაში ვიმყოფებით და მთელი ჩვენი ბედი ცენტრალურ სახელმწიფოების იმპერიალისტების ხელშია და მათ იმპერიალისტურ მადაზეა დამოკიდებული ყველაფერი.

ჩვენ არ ვიცით რამდენათ ძლიერია ზევით დასახელებულ კოალიციის შინაური დემოკრატიული ძალები, რომლებიც თავიანთ სახელმწიფოების იმპერიალისტების საგარეო პოლიტიკას ისეთსავე წინაალმდეგობას უწევენ, როგორსაც ჩვენი სახელმწიფოს დემოკრატია. მხოლოდ ერთი რამ კი ითქმის გადაჭრილათ,—ოსმალეთში ასეთი დემოკრატია ერთობ სუსტი და განუვითარებელია. ასე, რომ ოსმალეთის იმპერიალისტებს შინ დემოკრატია ძლიერ წინაალმდეგობას ვერ გაუწევს და მის დაპყრობითი პოლიტიკას ფართო ასპარეზი ეშლება წინ.

ასეთ პირობებში ამიერ-კავკასიის რევოლიუციონურ დემოკრატიას განურჩევლათ ეროვნებისა მეტი ორგანიზაცია და შეკავშირება სჭირია, რომ შეერთებულ ძალით მოპოებული თავისუფლება დაიცვას და იგი გარეშე მტრის გადალახვისაგან უზრუნველჰყოს. მართალია აქ მას ხელს შეუშლის ადგილობრივ მცხოვრებთა სხვადასხვა კლასები და წოდებები, მაგრამ ეს გარემოება სავსებით ვერ დაარღვევს ისტორიულათ, ეკონომიურათ და პოლიტიკურათ შეკავშირებულ დემოკრატიას. მიზანი და ორიენტაცია ყველას ერთი და იგივე აქვთ. ამიერ-კავკასიის რევოლიუციონური დემოკრატიის მიზანია რევოლიუციის მიერ მოპოვებული თავისუფლება განამტკიცოს, მრავალი ეკონომიური და პოლიტიკური საკითხები თავის სასარგებლოთ გადასჭრას და იგი არც შინაურს და არც გარეშე მტერს ფეხს ქვეშ არ გაათელინოს. ამ ნიადაგზე გაერთიანებული ამიერ-კავკასიის დემოკრატია სალ კლდესავით აღიმართება ოსმალეთის მთავრობის წინაშე და დემოკრატიული ზავის ჩამოგდების წინადადებით წარსდგება. ეს არის ჩვენი უძლიერესი იარაღი და ამ წინადადების მეოხებით ვუზრუნველვყოფთ რევოლიუციის მიერ მოპოებულ თავისუფლებას. ასეთ ზავის პირობების ცხოვრებაში გატარება უზრუნველყოფს, როგორც ჩვენს თავისუფლებას, ისე ჩვენ ფიზიკურ არსებობას. უკეთუ ასეთი ჩვენი წინადადება მოწინაალმდეგემ არ მიიღო და მან მიზნათ დაპყრობითა პოლიტიკის განხორციელება დაისახა, მაშინ ამიერ-კავკასიის დემოკრატია და მთელი რევოლიუციონური ორგანიზაციები მთელი თავის ძალ-ღონით შეეცდებიან რევოლიუცია და ფიზიკური არსებობა დაიცვან.

## რევოლიუცია განსაცდელშია

მეტათ მძიმე და სერიოზული დრო გვიდგება: ჩვენს ნორჩს თავისუფლებას, თვით ჩვენს არსებობას განსაცდელი მოელის. ოქტომბრის საბედისწერო დღეებს შემდეგ რუსეთის ერთი დემოკრატიული ფრონტი დაირღვა და ძმათა შორის ომი გაჩაღდა. რუსეთი დაიშალა და რამდენიმე შემადგენელ ნაწილებათ დაიყო.

ბალშევიკებმა, რომლებმაც ხალხს ზავი აღუთქვეს, სამარცხვინოთ დაყარეს იარაღი და ცარიელი სიტყვების რახარუხით დაკმაყოფილდენ: მათ გამოაცხადეს, რომ გერმანიის საზავო პირობები ხალხისთვის დამღუპველია და ამიტომ უარი სთქვეს მის მიღებაზე. მაგრამ ხალხისთვის დამღუპველ საზავო პირობებს დემობილიზაციით უპასუხეს, ესე იგი გულზე ხელი დაიკრიფეს და გერმანიის იმპერიალისტებს ეუბნებიან: მოდით და იუფლეთ ჩვენზეო.

რუსეთის დემოკრატიის დაუძლურებით, როგორც ეტყობა, მოხერხებულათ სარგებლობს ოსმალეთის მთავრობა: უკვე ცნობებია, რომ მათ დაუჭერიათ ერძინჯანი და ბაიბურთი და თუ მოსულ ცნობებს დაუჯერებთ, ისინი ბათუმის წინაალმდეგ მოიმართებიან.

როგორ უნდა მოიქცეს ჩვენი დემოკრატია?

ჩვენ, სოციალისტები, ომის წინაალმდეგი ვართ. მაგრამ ნუ თუ აქედან ის გამოდის, რომ ჩვენ მომხდურ მტერს წინ არ უნდა გადაველობოთ, როგორიც არ უნდა იყვეს ეს გარეშე მტერი. გერმანიის მუშათა კლასის სახელოვანმა ბელადმა ბებელმა სთქვა ერთხელ: თუ ჩემს სამშობლოს უკულტურო მტერი მოადგება, მე პირველი მოვიდებ თოფს ჩემს კუზიან ზურგზე და შევებრძოლებიო. ჩვენი მდგომარეობაც სწორეთ ასეთია. ჩვენს წინაალმდეგ მოდის ოსმალეთი, სახელმწიფო ველური და უკულტურო. მისი ჩვენში შემოსვლა—ეს ჩვენი თავისუფლების გაუქმება იქნება, ჩვენ მოგვიხდება ყველა საარსებო რეფორმებზე ხელის აღება.

განკითხვის დღე იწყება, ჩვენს წინაშე მთელი თავისი საშინელებით დგება ყოფნა-არყოფნის საკითხი. ორში ერთი: ან გულხელდაკრეფილები უნდა ვისხდეთ და ველოდოთ გარეშე მტრის მოსვლას, ამ მტერს თავი კალთაში ჩავუდოთ და მფარველობა და შებრალება ვთხოვოთ, ან ის ჩვენის შეკავშირებულ ძალის პირდაპირ დავაყენოთ და ვაიძულოთ ანგარიში გაგვიწიოს.

რომელს აირჩევს ამ ორ გზაში ჩვენი დემოკრატია. ნუ თუ ის ლაჩრულათ ქედს მოიხრის და მტერს შებრალებას სთხოვს? ნუ თუ დემოკრატიას არ ახსოვს ის მწარე გაკვეთილები, რომელიც მან ასი წლის მონობის დროს ატარა.

მტერმა არ იცის შებრალება, უკეთ რომ ვსთქვათ მტერი მხოლოდ და მხოლოდ ძლიერს მოპირდაპირეს უწევს ანგარიშს. სუსტი და ლაჩარი მხოლოდ ზიზღს იწვევს მაში.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მრავალტანჯული ხალხი ღირსეულათ შეხვდება ამ კარზე მომდგარ გასაჭირს; ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ის უბრძოლველათ იარაღს არ დაყრის.

დადგა დრო, როცა ხალხმა თვით უნდა გამოსჭედოს თავისი ბედი. ან სიცოცხლე ან სიკვდილი—აი რა უნდა დააწეროს მან თავის დროშაზე.

## ვაჭრების თავგასულობა

ცხოვრების არევ-დარევამ ვაჭრებს ყოველგვარი სირცხვილ-ნამუსი დაავიწყა.

ქალაქის თვითმართველობა იძულებულია მათ ნება-სურვილებს ანგარიში გაუწიოს და თითქმის ყოველ ორ კვირაში ხდება ნიხრის გადასინჯვა და ფასების მომატება.

მაგრამ ვაჭრების გაუმაძღრობას მაინც საზღვარი არ ედება: არ არის ისეთი „სამართლიანი" ნიხრი, რომ მათ ის მაინც არ დაარღვიონ—თუნდაც ჩვეულებრივ მოსაგების ნორმა ერთი ორათ გაიზარდოს, ვაჭარი მაინც არ ასრულებს ნიხრს. და ამის შედეგი ის არის ხოლმე, რომ უნამუსო მოქალაქეთა მცირე ჯგუფი ვაჭრების სახით სიმდიდრეს იძენს, ხოლო დემოკრატია რევოლიუციონურ-საზოგადოებრივ ორგანიზაციებისადმი ნდობას კარგავს. ვაჭრებში ამ ბოლო დროს გაჩნდა ერთი კარგა მოზრდილი ნაწილი, რომელიც სრულებით სხვა „მეტოდებით" მოქმედობს: მისთვის არ არსებობს ზრდილობიანი და რიგიანი მოქცევა, პირიქით ისინი მუდამ მუშტებზე იცქირებიან და მოქალაქე მათგან ათასგვარ დამცირებას და შევიწროებას იტანს. ის ჯგუფია—ფრონტზე ნაყოფი ჯარისკაცები ან ჯარისკაცების ტანისამოსში გამოწყობილი ნაძირალები.

ასეთ თავგასულობის წინაალმდეგ სასტიკი ზომების მიღებაა საჭირო, მაგრამ, სამწუხაროთ, ჩვენი მმართველი ორგანოები საჭირო სიმტკიცეს და თანდათანობას ვერ იჩენენ ამ საქმეში.

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ სიძვირის და ვაჭართა თავგასულობის წინაალმდეგ ბრძოლაში საუკეთესო საშუალებაა ქალაქის მიერ საკუთარ სავაჭროების მოწყობა და პირველ საჭიროების საგნებზე მონაპოლიის შემოღება. მაგრამ ამ სასარგებლო და აუცილებელ ზომების გატარება ერთბაშათ არ შეიძლება და ამიტომ ქალაქის თვითმართველობა იძულებულია სხვა ზომებს მიმართოს. ეს ზომაა უმთავრესად ნიხრის დაწესება.

მაგრამ ვინ არ იცის, რომ ნიხრს და საზოგადოთ ყოველგვარ კანონს მაშინ აქვს მნიშვნელობა, როცა იმის ცხოვრებაში გასატარებლათ სათანადო ზომებია მიღებული, როცა არსებობს საჭირო აპარატი.

სამწუხაროთ უნდა ვთქვათ, რომ ქალაქი დიდ ენერგიას ხარჯავს ნიხრის შესამუშავებლათ, მაგრამ მას არ მოეპოვება არავითარი აპარატი მის ცხოვრებაში გასატარებლათ. უკანასკნელ დროს აღმასრულებელ კომიტეტის მიერ ადმინისტრატიული სასჯელის დაწესებაც ვერ შველის საქმეს, რადგან მოქალაქე იძულებულია მილიციის უფროსთან იაროს და რიგს ელოდოს, იძულებულია მოწმეები ჰქონდეს და სხვა. ყველაფერი ეს აღემატება მოქალაქის ძალ-ღონეს.

ქალაქმა თითონ უნდა იყოლიოს სავაჭრო ადგილებში თავისი წარმომადგენლები, უნდა დაარსოს კანტორები, სადაც მოქალაქეს საშუალება ექნება მიმართოს და დარღვეული უფლებები აღადგინოს. წინაალმდეგ შემთხვევაში ამაოა ნიხრის დაწესება და სავალდებულო დადგენილებების წერა.

ქალაქმა უნდა უზრუნველჰყოს თავისი დადგენილებების ცხოვრებაში გატარება ან და სულ აიღოს ხელი ამ დადგენილებებზე და სრული თავისუფლება მიანიჭოს ყველას.

ეს საჭიროა დემოკრატიისათვის და მთავრობის ავტორიტეტისთვის.

## პრესა

ბ. შაუმიანი „კავკაზსკი რაბოჩი"-ს ფურცლებზე განაგრძობს ტრაბახს ეშელონების წინაშე. ის სწერს:

„საზავო მოლაპარაკება გერმანიის მთავრობასთან შეწყვეტილია, მაგრამ დღეს უფრო ახლოს ვართ ზავთან, ვინემ ოდესმე ვყავით. თავის აშკარა და პატიოსან სახალხო პოლიტიკით ჩვენმა მუშათა და გლეხთა მთავრობამ ჯერ კიდევ ოქტომბერში შესძლო დროებითი ზავის ჩამოგდება საზავო პირობების ნიადაგზეო".

მერე რაში გამოიხატა ეს „პატიოსანი პოლიტიკა"? აკი ბალშევიკები ზავს გვპირდებოდენ. ახლა სულ სხვას გვეუბნებიან ბალშევიკები. თურმე „იმპერიალისტებთან საზავო მოლაპარაკების მიზანი იყო კავშირის დაჭერა გერმანიის მუშებსა და სალდათებთან, რომ ესენი ვილჰელმის წინაალმდეგ აჯანყებულიყვნენ" და რომ თავისი მოღალატეობა დაფარონ, ბალშევიკები ხალხს არწმუნებენ: გერმანიის პროლეტარიატი უკვე აჯანყდაო.

ასეთ საოცარ მსგავსებით იმეორებენ ბალშევიკები თვითმპყრობელობის ადათებს: როგორც თვითმპყრობელი მეფე სხვა ქვეყნებისკენ იქცევდა თავის ქვეშევრდომთა ყურადღებას, ისე ლენინის „ნამესტნიკი" შაუმიანი გერმანიისკენ აქცევს ჩვენს ყურადღებას: იქ პროლეტარიატი აჯანყდა და სოციალისტური სხივები იქიდან მოგვევლინებაო. ასე ყოველ კვირაში იცვლიან ბალშევიკები თავის დემაგოგიურ განცხადებებს: დღემდის პირველათ რუსეთში უნდა დამყარებულიყო სოციალიზმი და შემდეგ გერმანია-ავსტრიას მოსდებოდა, ახლა თურმე გერმანიაში დაწყებულა. ყველა ამის შემდეგ შაუმიანი დამშვიდებული სინიდისით მიმართავს მიმავალ ეშელონებს:

„გაიხაროს თქვენმა გულმა სანგრებში ოთხი წლის ყოფნის შემდეგ. დაბრუნდით სახლში და შეუდექით შინაურ ცხოვრების მოწყობასო".

ასე პირწმინდათ იმეორებს ბ. შაუმიანი რიაზანელ გლეხის ფილოსოფიას: რა მესაქმება ვიღაც ნემეცთან, რიაზანამდე ხომ ვერ მოახწევსო.

ეს სწორუპოვარი გმირი აუწყებს სალდათებს—გამვლელმა ეშელონებმა ჩრდილოეთ კავკასიაში უკვე დაამყარეს ლენინის მთავრობაო და განაგრძობს:

„ყველაზე უფრო ცუდი მდგომარეობა აქ, ამიერ-კავკასიაშია. აქ ძალა-უფლება გეგეჭკორს და მის მოკავშირე თათრის ბეგებს უპყრია ხელთ", მაგრამო, ანუგეშებს სალდათებს შაუმიანი, „მუშები და გლეხები და ეროვნულ პოლკების სალდათები უკვე იგებენ თავის მდგომარეობასო".

ასე უკუღმა ესმის ბ. „კომისარს" ყველაფერი. აქა-იქ ქართულმა პოლკებმა ექსცესები მოახდინეს—შაუმიანს კი ეს გამოღვიძება გონია.

## დამფ. კრების პირველი და უკანასკნელი სხდომის ანგარიში

აგერ ერთი თვე გავიდა, რაც დამფუძნებელი კრების პირველი და უკანასკნელი სხდომა მოხდა პეტროგრადში და გაჩაღებულ სამოქალაქო ომის გამო მხოლოდ დღეს ვტყობილობთ კანტი-კუნტათ ამ საბედისწერო სხდომის ანგარიშს.

5 იანვარს გაიხსნა დამფუძნებელი კრება. პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ დაადგინეს გაერჩიათ ექვსი საკითხი, ამათში მხოლოდ სამი საკითხის გარჩევა მოასწრეს, ზავის, მიწის და სახელმწიფო წეს-წყობილების ფორმის. დანარჩენი სამი კითხვა განუხილველი დარჩა. მოგვყავს დაწვრილებით ამ კრების დადგენილებები.

ზავის შესახებ დამფუძნებელმა კრებამ შემდეგი დაადგინა:

სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება, გამოხატავს რა ხალხის შეურყეველ სურვილს დაუყოვნებლივ შესწყდეს ომი და შეკრან სამართლიანი ზავი, მიმართის მოკავშირე სახელმწიფოებს წინადადებით ერთათ შეუდგენ ყველა მებრძოლ სახელმწიფოებისთვის მისაღებ დემოკრატიულ ზავის პირობების შემუშავებას და ეს პირობები მთელი კოალიციის სახელით წარუდგინონ რუსეთის რესპუბლიკის და მის მოკავშირეთა წინაალმდეგ მებრძოლ სახელმწიფოებს.

რუსეთის ხალხის სახელით მწუხარებას ვაცხადებთ, რომ მოკავშირე დემოკრატიასთან წინასწარ შეუთანხმებლათ გერმანიასთან დაწყებულმა მოლაპარაკებამ სეპარატიული ხასიათი მიიღო. დამფუძნებელი კრება რუსეთის ფედერატიულ დემოკრატიულ რესპუბლიკის ხალხის სახელით აგრძელებს დაწყებულ დროებით შერიგებას და თავის თავზე ღებულობს შემდეგ მოლაპარაკებას მებრძოლ სახელმწიფოებთან.

დამფუძნებელი კრება ადგენს ყოველ მხრივ დახმარება აღმოუჩინოს სოციალისტურ პარტიებს დაუყონებლივ მოწვეულ იქნას საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია საყოველთაო დემოკრატიულ ზავის მისაღწევათ.

დამფუძნებელი კრება ადგენს აირჩიოს დელეგაცია მოკავშირე სახელმწიფოებთან მოსალაპარაკებლათ. ეს დელეგაცია დაუყონებლივ უნდა შეუდგეს მოლაპარაკების დაწყებას.

მიწის შესახებ დამფუძნებელმა კრებამ შემდეგი დაადგინა:

1) დღეიდან რუსეთის რესპუბლიკის საზღვრებში სამუდამოთ ისპობა მიწებზე საკუთრება.

2) მთელი რუსეთის რესპუბლიკის ყველა მიწები თავის სიმდიდრით შეადგენს ხალხის საკუთრებას.

3) ყველა მიწები გადადის ცენტრალურ ორგანოს და ადგილობრივ თვითმართველობების განკარგულებაში.

4) რუსეთის რესპუბლიკის თვითმართველი ოლქები თავიანთ ცენტრალურ ორგანოების საშუალებით ანხორციელებენ ამ კანონის თანახმათ მიწების შესახებ დადგენილებას.

5) მთავრობის ორგანოთა და ადგილობრივ თვითმართველობის ვალია: ა) შექმნან ისეთი პირობები, რომ შესაძლებელი იქნას ბუნებრივ სიმდიდრით საუკეთესო სარგებლობა და წარმოების ძალთა განვითარება. და ბ) მცხოვრებთა შორის ყველა სიმდიორის სამართლიანათ განაწილება.

6) პიროვნებათა და დაწესებულებათა უფლება მიწებზე გამოიხატება მხოლოდ მარტო მათ სარგებლობაში.

7) მიწებით სარგებლობა შეუძლიათ რუსეთის რესპუბლიკის ყველა მოქალაქეებს განურჩეველათ ეროვნების და სარწმუნოების.

8) მიწებით სარგებლობის უფლება ეძლევათ ყველა მოქალაქეთ და ეს უფლება იწყება და თავდება არსებულ კანონის თანახმათ.

9) ვისაც ეხლა კერძო პირებს თუ კავშირებს ან დაწესებულებებს ამ კანონის წინააღმდეგი უფლება აქვთ მიწებზე, დღეიდან უქმდება.

10) მიწების ჩამორთმევა ხდება სრულიად გამოუსყიდველად.

სახელმწიფო წეს-წყობილების ფორმის შესახებ დამფუძნებელმა კრებამ დაადგინა:

რუსეთის სახელმწიფო აღიარებულ იქნა ფედერატიულ-დემოკრატიულ რესპუბლიკათ, სადაც შევლენ რუსეთში დასახლებული ყველა ერები.

დანარჩენი კითხვების გარჩევა დამფუძნებელმა კრებამ ვეღარ შესძლო, რადგან შეიარაღებულმა მეზღვაურებმა დეპუტატები ძალით გარეთ გამორეკეს და კრებაც დაიხურა.

## ჩრდილო-კავკასიის ამბები

ყუბანის მხრის მთავრობა აცნობებს ამიერ-კავკასიის კომისარიატს, რომ 22 და 25 იანვარს და 3 თებერვალს მან ნოვოროსიის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შემდეგი დეპეშები გაუგზავნა:

„ყუბანის მხრის მთავრობა გთხოვთ გააგებინოთ მცხოვრებლებს და გამვლელ ჯარების ნაწილებს, რომ მან მტკიცეთ გადასწყვიტა დაიცვას ყუბანის მხარეში და ეკატერინოდარში სრული წესიერება და მიზნათ დაისახა ახლო მომავალში მოიწვიოს ყუბანის მხრის საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრება. დღეს მოსულმა ბალშევიკების რაზმებმა განიზრახეს სამოქალაქო ომის დაწყება და ეკატერინოდარის აღება, მაგრამ მათი განზრახვა ძირიანათ მოვსპეთ, რამაც დიდი მსხვერპლი მოიტანა. ვაცხადებთ, რომ ამიერიდან ბალშევიკების მიერ ასეთ ცდას უფრო სასტიკათ და დაუნდობლათ შევხვდებით და ჩავაქრობთ. ყუბანის მთავრობა იმ აზრს ადგია, რომ არ ჩაერიოს შავი ზღვის გუბერნიის საქმეებში, და თვითონაც მოითხოვს მის საქმეებში არავინ ჩაერიოს. არ ჩაერიონ მთავრობის და საკანონმდებლო რადას მუშაობაში, რომელსაც შეადგენენ სოციალისტები 46 ყაზახი, 46 სხვადასხვა ქალაქების წარმომადგენელი და 8 მთიული. მთავრობის მოთმინების ფიალა აივსო, მას აღარ შეუძლია გულგრილათ უყუროს როგორ ღვრიან მუშების და ჯარისკაცების სისხლს უგუნური ბალშევიკები ჩვენზე თავდასხმით. მთავრობა თხოულობს აცნობონ გამვლელ ჯარებს, რომ უიარაღოთ გამომვლელ ჯარებს უვნებლათ და დაუბრკოლებლივ გაუშვებენ, და საჭიროების დროს სურსათიც მიეცემათ. მოუწოდებთ ჯარისკაცებს არა ბალშევიკებს, რომლებმაც გადასწყვიტეს ნემცების და ვილჰელმის გულის საოხათ ძმათა სისხლით მორწყონ მთელი ქვეყანა.

25 იანვარი, გუბერნიის კომისარის მოადგილეს ნოვოროსიაში, ქალაქის თავს, ქალაქის გამგეობას და გარნიზონის უფროსს: „დღეს ბალშევიკებმა სცადეს ეკატერინოდარში შემოჭრა, მაგრამ სასტიკათ დავამარცხეთ და გაიქცნენ. აუარებელი ხალხი დაეხოცათ და დაეჭრათ“.

3 თებერვალი. სხვადასხვა დაწესებულებებს: „ყუბანის მთავრობა იტყობინება, რომ ეკატერინოდარისაკენ რკინის გზის სადგური კრიმსკაია და ტიმაშევსკაია ბალშევიკების ხელშია. მიმოსვლა შეწყდა. ეს გარემოება გამოუსვლელ მდგომარეობაში აყენებს ნოვოროსიის მცხოვრებლებს, ასეთივე მდგომარეობაში ჩავარდებიან ფრონტიდან მომავალი ჯარისკაცები. სანამ ბალშევიკები რკინის გზის ლიანდაგს ააფეთქებდენ, რამდენიმე ეშელონმა მშვიდობიანათ გაიარა სად. ტიმაშევსკაია.

## ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე

**ნახიჩევანიდან.** რკინის გზის დაწესებულებებზე გახშირებულ თავდასხმამ გამოიწვია მოსამსახურეთა აღელვება. მატარებელ № 25-ზე თავდასხმამ და მგზავრების დახოცვამ თავზარი დასცა ყველას. მემანქანეები უარს აცხადებენ მუშაობაზე. მოსამსახურე სომხებმა და თითრებმა მიატოვეს სამსახური, რის გამო მუშაობა შეჩერებულია.

—

**სანდარი.** დღეს, 4 თებერვალს მატარებელს № 651 გარს შემოერტყა ბრბო გაძარცვის მიზნით. სროლამ 30 წამი გასტანა. დაიჭრა სამი ჯარისკაცი. ჯარისკაცებს წაართვეს ვინტოვკები, რეოლვერები და ნივთები. დაჭრილები თფილისში გამოგზავნეს. საჭიროა დახმარება.

## კავკასიის ფრონტი

3 თებერვალი. ბაიბურთის ოლქის კომისარის ცნობით სოფ. სურენეში, რომელიც მდებარეობს 30 ვერსის მანძილზე ბაიბურთიდან დასავლეთით, გამოჩნდენ ბაიბურთისაკენ მომავალი ოსმალეთის სამხედრო ნაწილები, რიცხვით 1200 კაცი ზარბაზნებითა და ტყვიის-მფრქვეველებით. მათ უკან მოდის უფრო ძლიერი რეზერვი. 3 თებერვალს თათრებს მოელიან ბაიბურთში. ბაიბურთის ქრისტიანები ერზერუმში გამოყავთ.

# დ ე პ ე შ ა

**ოზურგეთი.** დიდათ აფასებს რა ქართულ უნივერსიტეტის კულტურულეროვნულ მნიშვნელობას, ოზურგეთის ქალაქის საბჭო მხურვალეთ მიესალმება მის გახსნას და გამოსთქვამს მტკიცე იმედს, რომ ამ მეცნიერების ტაძარის კარები ფართოთ იქნება გაღებული ქართველი დემოკრატიისათვის, რომელიც შემომქმედია იმ მიმდინარე რევოლიუციისა, რომლის ერთი მოპოვებათაგანია თფილისში ეროვნული უნივერსიტეტის დაარსება. არჩეულია კომისია უნივერსიტეტის სასარგებლოთ შემოწირულებათა შესაგროვებლათ.

ქალაქის თავი ვ. ღლონტი.

## ახალი ამბები

**ნიხრის დარღვევა.** ჩვენს რედაქციაში შემოვიდა მოქალაქე გვ—ლი და შემდეგი გადმოგვცა: მე ხშირად მიხდება ბაზარში სანოვაგის ყიდვა. თითქმის არც ერთი ვაჭარი ნიხრზე არ ჰყიდის საქონელს. თუ ვინმემ მოაგონა ნიხრი, ლანძღვა-გინებით ისტუმრებენო. სხვათა შორის გვიამბო ასეთი შემთხვევა: ბაზრის ქუჩაზე, № 2, ვაჭრობს ვიღაც სალდათის ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა. მე მოვითხოვე ორი გირვანქა ხახვი. ხახვი ამიწონა, მაგრამ, რადგან ქაღალდში გახვევაზე უარი მითხრა, ხახვი ჯიბეში ჩავიწყვე. ფული მივეცი ნიხრის კვალობაზე. „სალდათმა“ ფული გადმომიყარა, ჯიბეში ხელი ჩამიყო და ხახვი ძალათ ამოიღო. როცა ხალხი მოვიდა ჩოჩქოლზე, ყვირილი დაიწყო: ორ გირვანქაში სამი აბაზი მერგებოდა და ამან მხოლოდ ათი შაური მომცაო. ორი შაური იქვე აღმოჩნდა დაყრილი დახლზე. მოკვლითაც დამემუქრა, მაგრამ როცა ვუთხარი: მე თითონ რევოლვერი მაქვს ჯიბეში და მილიციის უფროსთან წავალ-მეთქი, მხოლოდ მერე დაწყნარდა და წუწუნს მოჰყვა: პოზიციაზე სამი წელიწადი ვიტანჯებოდი და ეხლა კიდევ დაჭერით მემუქრებიანო. ამის შემდეგ ხახვი პარკში ჩამიწყვეს და ისე გამომისტუმრესო.

**მდგომარეობა ბათუმში.** როგორც თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ბათუმიდან დეპეშით ატყობინებენ, იქ მცხოვრებთა ევაკუაცია საჭირო არ არის, ვინაიდან ბათუმს არავითარი საფრთხე არ მოელის.

**შრომის ბირჟა.** 1 თებერვლიდან ქალაქის შრომის ბირჟასთან მოეწყო სტასტისტიკური განყოფილება. განყოფილების მიზანია გამოარკვიოს არა მარტო ბირჟის მოქმედება, არამედ შრომის ბაზრის ცვალებადობა თფილისში. ამ მიზნით ბირჟა სთხოვს ყველა დაწესებულებებს მიაწოდონ მას საჭირო ცნობები. ახლო მომავალში ბირჟა მოაწყობს ანკეტას.

— 22—27 იანვრამდე შრომის ბირჟაში გამოცხადდა 1671 უმუშევარი, მათ შორის 770 მამაკაცია და 901 დედაკაცი. სამუშაო მისცეს 179 კაცს. უმუშევრები ეროვნების მიხედვით ასე ნაწილდებიან: რუსები—155, სომხები—89, ქართველები—133, ლეკები—2, სართები—8, ნემცები—10, ებრაელები—6, ბერძნები—2, სპარსელები—2, პოლონელები—9, ლიტველები—4, თათრები—14, ბურიატი—1, ყირგიზი—3, და სხვები—23. ოჯახური მდგომარეობის მიხედვით: უცოლშვილო—197, ქალიშვილი—74, ცოლშვილიანი—103, ქმრიანი ქალები—73, ქვრივი მამაკაცი—5, ქვრივი დედაკაცი—9.

**შაქრის მონოპოლია.** ამიერ კავკასიის კომისარიატმა სამი თებერვლის სხდომაზე უარჰყო თავისი დადგენილება ამიერ კავკასიაში შაქრის მონოპოლიის შემოღების შესახებ.

**შრომის კომისარის ცირკულიარი.** შრომის სამინისტროს კომისარმა შემდეგი ცირკულიარით მიმართა ყველა შრომის კომისარებს: ვინაიდან კომისარიატის მიერ მიღებულ ცნობების მიხედვით საავათმყოფო კასების მოქმედება სუსტია, წინადადებას გაძლევთ მიიღოთ ყოველივე ზომა ავათმყოფობის დროს მუშათა უზრუნველყოფის შესახებ დებულების ცხოვრებაში გასატარებლათ (25 ივლისი, 1917 წელი). გთხოვთ გვაცნობოთ თქვენ რაიონებში არსებულ კასების მდგომარეობა და ის, თუ რა ზომები იყო მათ გასაძლიერებლათ მიღებული.

**ქართულ უნივერსიტეტის დეკანს.** ივ. ჯავახიშვილს საოლქო შტაბში დაპირდენ, რომ უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალება მიეცემათ სამხედრო სამსახურის ასრულებასთან ერთად საღამობით (5—9 საათამდე) ლექციებიც მოისმინონ.

**შინაგან საქმეთა სამინისტროს კომისარმა** ხაშურიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: 5 თებერვალს დილის 10 საათზე, როდესაც თფილისიდან ჩამოსული წითელი გვარდია მწყობრათ ქუჩაში მიდიოდა, ნამალავათ გამოსროლილ ტყვიით დაიჭირა სასიკვდილოთ ერთი წითელ-გვარდიელი. გვარდიელებმა თავის მხრივ ჰაერში გასროლით უპასუხეს და უნებლიეთ დასჭრეს ერთი მოქალაქე. გუბერნიის კომისარის და დელეგაციის დახმარებით ადგილობრივ ორგანიზაციათა უფლება-ავტორიტეტი თანდათან ძლიერდება. ქალაქში და განაპირა უბნებში სამხედრო წესებია გამოცხადებული.

**რკინის გზის მოსამსახურეთა მდგომარეობა.** კავკასიის მ. ჯ. გლ. დეპუტატების საბჭოთა ცენტრმა ბათუმის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: რადგან მ ისამსახურეთა კრიტიკულ მდგომარეობის გამო მოსალოდნელია რკინის გზაზე მოძრაობის შეჩერება, ბათუმის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო გთხოვთ სასწრაფო განკარგულებას, რომ მოსამსახურეებს მიეცეს ჯამაგირი ადგილობრივ სადგურების შემოსავლისაგან.

**ეშელონები.** სარაყამიშიდან გამოგზავრებული ეშელონები ალექსანდროპოლში მივიდენ. როგორც ამიერ-კავკასიის კომისარიატს ატყობინებენ, ბალშევიკებს ყოველი ზომა მიუღიათ ეშელონების შესაჩერებლათ, რომ დიდი ძალის შედგენის შემდეგ გამოელაშქრებიათ თფილისისაკენ. მაგრამ ბალშევიკების აგიტაციას ჯარში გასავალი აღარ დაურჩა. მათ აგიტატორებს მოქანცული ჯარისკაცები ან სრულიად არ უსმენენ, ან და უპასუხებენ, რომ ისინი სახლში მიდიან და არ სურთ ახალი უფრო ცუდი ომის დაწყება.

**თათრების თავდასხმა.** 30 იანვარს გერიუსოვიდან ნახიჩევანისკენ მიმავალ 200 სომეხ გლეხს წინ შეხვდა შეიარაღებულ თათართა ჯგუფი. გლეხებმა სთხოვეს არ აეტეხათ მათთვის სროლა და ისე გაეშვათ. თათრები დასთანხმდენ, მაგრამ გლეხებმა ვერ მოასწრეს ერთი ვერსის გავლა, რომ გაისმა თოფების გრიალი და რამდენიმე გლეხი ძირს დაეცა. 50 გლეხმა მოახერხა მახლობელ სოფელში მიმალვა. დანარჩენი 150 კირა ბედი ეწვია, არავინ იცის.

**გაზ. „ბორბა“.** გუშინ დაიწყო გამოსვლა გადიდებულ ფორმატით ს.-დ. გაზეთმა „ბორბა“-მ.

**სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, საღამოს 7 ს. სტავინსკი წაიკითხავს მორიგ ლექციას ბუნების მეტყველებიდან. მეორე ლექციას წაიკითხავს ამხ. მახვილაძე პოლიტიკურ ეკონომიიდან. ლექციებზე დასწრება უფასოა.

**პროვოკატორის მოკვლა.** 31 იანვარს საღამოს 9 საათზე, ჩერქეზოვის ქუჩაზე მილიციონერებს მიყავდათ დატყვევებული იოსებ ჯიოევი. ამ დროს მილიციონერებს სროლა აუტეხეს უცნობ პირებმა. ჯიოევმა ისარგებლა ამით და მოინდომა გაქცევა, მაგრამ მილიციონერებმა მოჰკლეს იგი რამდენჯერმე გაფრთხილების შემდეგ. ჯიოევი დატყვევებიათ ვინტოვკების მოპარვისათვის და გაყიდვისათვის. მას აგრეთვე აბრალებდენ ჯაშუშობა-პროვოკატორობას. 1911—194 წლებში იგი ჟანდარმთა სამმართველოში ყოფილა აგენტათ ჩაწერილი ასლანოვის გვარით.

**მიცვალებულის გაძარცვა ონში.** ლაშხეთის წმინდა გიორგის ეკლესიის გალავანში ბოროტგამზრახველებს გაუთხრიათ სამარე, სადაც დასაფლავებული ყოფილა სოფ. შეუბანის მცხოვრები მელქისედეკ იოსების ძე ჯაფარიძე და მიცვალებულისთვის შემოუხსნიათ ვერცხლის ქამარი და ქილები.

**პ. ინგოროყვას მოხსენება.** დღეს საღამოს 6 ს., საქართველოს ეროვნულ საბჭოს დარბაზში (ფრეილინის ქუჩა, № 11) დანიშნულია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომა. პავლე ინგოროყვა წაიკითხავს მოხსენებას ტერიტორიალურ გამიჯვნის შესახებ. საზოგადოების საბჭო სთხოვს ქართულ პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლებს დაესწრონ მოხსენებას. სხდომაზე დასწრება გარეშე პირებსაც შეუძლიათ.

**დატუსაღება.** თფილისის მილიციის უფროსმა ქალაქში წესიერების დარღვევისათვის, რაც გამოიხატა სამხედრო პირთათვის პაგონების ახდაში, დაატუსაღა ა. პოგრებლოვი და შაგურამოვი.

### კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 5 საათზე, სასახლის თეთრ დარბაზში დანიშნულია მუშათა ცენტრის მორიგი სხდომა.

— ხვალ: საღამოს 5 საათზე, სასახლის თეთრ დარბაზში დანიშნულია ამიერ-კავკასიის გლეხთა საოლქო ცენტრის სხდომა.

— დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია მორიგი სხდომა რ. ს.-დ. მ. პ. მე-4 რაიონის კოლექტივისა.

— დღეს, საღამოს 5 საათზე, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია პირველი რაიონის ს.-დ. პ. წევრთა კრება.

— დღეს, საღამოს 8 ს., „ახალი კვალი“-ს რედაქციაში დანიშნულია თფილისის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის კომიტეტის და ცენტრალური კომიტეტის წევრთა კრება. ამხანაგებს ვსთხოვთ აუცილებლათ დაესწრონ კრებას.

— დღეს, ნაშუადღევის 1 საათზე დანიშნულია საქართველოს ეროვნულ საბჭოს სხდომა. განსახილველი საგნები: 1) მოხსენება თფილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის მდგომარეობის შესახებ, 2) 500.000 მან. სესხის აღება, 3) ანარქია სოფლად, 4) სექციების წარმომადგენლების მოხსენებანი, 5) მიმდინარე საკითხები, 6) საზოგადო მზრუნველობის სექციის დაარსება, 7) საკანტროლო ორგანოს დაარსება. სხდომას უნდა დაესწრონ კანდიდატებიც.

## პროვინციის ქრონიკა

**ხონი.** სიმინდის ფასი 20 მანეთია, ფქვილის 22. სიმინდის შოვა თანდათან ძნელდება, ერთი თვის შემდეგ რა იქნება არ იცის კაცმა. ასეთივე მდგომარეობაა სოფლებშიც, სადაც არჩეულია სასურსათო კომისიები, რომელნიც იკვლევენ ზედმეტ სიმინდს. მათვე ევალებათ სახნავ-სათესი მიწების დასამუშავებლათ განაწილება.

— პირდაპირ აგვიკლეს მეეტლეებმა, მანამდე მათი რიცხვი 40-მდე თუ იყო, ახლა კი ასამდეა. კვირაში ათას ფუთამდე სიმინდი ცხენებს უნდება, მიმოსვლა კი საშინელი ძვირია, მათ თვითნებობას საზღვარი არა აქვს. მომქმედი პოლიტიკური ორგანიზაციები ერთმანეთ შორის კინკლაობას უნდებიან და ამ გარემოებას კი ყურადღებას არ აქცევენ. გაბრაზებული საწყალი ხალხი კი გულში ბოღმა მორეული შესცქერის მეეტლეთა თარეშს და არ იცის ვის მიმართოს საშველათ.

— ადგილობრივ კოოპერატივს „იმედის“ საქმეები მშვენივრად მიდის, ერთ დღეს დაღუპვის კარზე მიმდგარი დაწესებულება, წელს, ჩვენი ამხანაგების მეოხებით, მილიონ „ობოროტს“ აკეთებს. მოგება 40 ათასს აშორდა, რომელიც განაწილდა კულტურულ დაწესებულებებზე: შეეწიენ თბილისის უნივერსიტეტს და ადგილობრივ სასწავლებლებს.

— ყაჩაღების დაცემის შემდეგ ქალაქმა მილიციონერთა რიცხვი გაადიდა, საერთოდ მშვიდობიანობაა, მარა არ იქნა და ვერ ალაგმეს ზოგიერთი ხულიგანები, რომელნიც ხალხის შესაშინებლათ ღამ-ღამობით ხან აქ ატეხენ სროლას და ხან იქ.

— ქალაქის თვითმართველობამ გამოიწერა 100 ცხენი, რომლებსაც სოფლელებს მიყიდიან ყანების დასამუშავებლათ. როგორც ხონში, ისე ახლო მახლო სოფლებში საქონლის ჭირი მძვინვარებს და სულ გაწყვიტა ხარი და ძროხა. ეს ცხენები პირდაპირ სულზე მოესწრება ხალხს.

— მასწავლებელთა გაფიცვამ საზოგადოებაში გაუგებრობა გამოიწვია, ხალხი უკმაყოფილოა.

**ქუთაისი.** ქალაქის ტყის გაჩეხისათვის შ. ქ. და ბიქ. ყუბანეიშვილებს, მიხ. და არხ. რევიშვილებს, შალ. ჩხიკვაძეს, მინ. ნიშნიანიძეს, ს. და მ. ყუბანეიშვილებს, საჩ. ცნობილაძეს, ერ. მამრიკაშვილს, შალვა კუბლაშვილს და პარ. და ვას.

## შთაბეჭდილებანი

(ნახული და გაგონილი)

4

### ეკატერინოდარში.

ბაქოდან ეკატერინოდარამდე თითქმის უფათერაკოთ ვიმგზავრეთ. გზა და გზა გვატყობინებდენ, რომ სადგურები ბალშევიკების ხელშია, რომ გამვლელ-გამომვლელთ ჩხრეკენ, სურსათს და იარაღს ართმევენ და სხვ.

მარა ჩვენ სადელეგატო ვაგონს რატომღაც განსაკუთრებით მორიდებით ეკიდებოდენ, მიუხედავათ იმისა, რომ ეს მეორე კლასის ვაგონი იყო და დემოკრატიის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიეზიდა. უნდა ისიც აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ნეიტრალური დაწესებულების, სასურსათო კომიტეტის საბუთები გვქონდა, ერთ ამხანაგს, წინეთ პეტროგრადში ნამყოფს, სახალხო კომისართაგან მოცემული „პროპუსკის“ ბარათი ჩარჩენოდა ჯიბეში და შემომსვლელ ბალშევიკებს იმას ვახვედრებდით კარებში. დამჩხრეკავები ძალიან ალმაცერათ ეკიდებოდენ თავის საქმეს. ქაღალდზე თუ ბეჭედს დაინახავდენ და რომელიმე დაწესებულების ზედწარწერას, მათთვის საკმარისი იყო. ერთ სადგურზე, კარგათ მახსოვს, შეცდომით, ის ბარათი ვაჩვენე, რომლითაც თფილისის სასუსათო ყრილობაზე ვიყავ გაგზავნილი დელეგატათ. ამაზედაც მათ ხმა არ ამოუღიათ. ჩაგვიარეს გვერდი და წავიდენ. უმთავრესათ ეძებდენ იარაღს, ნაბრძანები გვაქვს უნდა ჩამოვართვათო.

სადგურ ტიხორეცკაიაზე შეიარაღებულ წითელ რაზმელებმა და ჯ.-ქ. დელეგატ სამხედრო პირებს პაგონების აყრა მოსთხოვეს, რაც შესრულებულ იქნა. აქედან დაიწყო მეტამორფოზები სამხედრო პირების: ზოგგან პაგონებით დადიოდენ, ზოგან უპაგონოთ, სად როგორი მოთხოვნილება იყო.

ამ რიგათ მივაღწიეთ ეკატერინოდარამდე. ქალაქში ადგილი არსად იყო და ვარჩიეთ ისევ ვაგონში დარჩენა. მთელი ყრილობის განმავლობაში სადგურზე ვათევდით ღამეს.

ეკატერინოდარი პატარა, მარა ლამაზი ქალაქია, სწორი ქუჩებით, რომელნიც აგურითაა მოკირწყლული. ქვა აქეთ ძნელი საშოვნელია. დამშეულ გუბერნიათა წარმომადგენლები თეთრი პურის ქვეყანაში მისვლისთანავე პურს დავეხარბეთ, რითაც რესტორანის მოსამსახურეები განცვიფრებაში მოგვყავდა. აუცილებელი გახდა, ყველგან ღიმილით გაგვეცხადებია, დამშეულ ქვეყნიდან ჩამოვედით და თეთრი პური გვენატრებათქო. ქალაქში პირველათ ყოვლისა გეცემათ თვალში სიმრავლე აფიცრების და იუნკრების. სალდათები აქ ძალიან ცოტაა. იგინიც შემთხვევით ჩამოსულნი. არც ერთი ქვეითა პოლკი ქალაქში არ მოიპოვება. იყო ორი პოლკი ყაზახების, მარა რა წამს ბალშევიკების რაზმი მოუახლოვდა ქალაქს, მათ დასტოვეს ეკატერინოდარი და სადღაც წავიდენ.

ეს ქალაქი ერთი შეხედვით რევოლიუციის წინა ხანას მოგაგონებს. სიტყვა „ამხანაგს“, აქ ვერსად მოკრავთ ყურს. ერთ დღეს შემთხვევით ამხ. დ—მ, ღამე შინ დაბრუნებისას შეხვედრილი იუნკრები ამხანაგობით მოიხსენია.

უკაცრავათ, მე პატიოსანი ადამიანი ვარო! მოისმა პასუხათ. ამხანაგი აქ შეურაცხყოფას უდრის. ქალაქი აშკარათ გაყოფილია ორ ბანაკათ. ერთი მხრით დგანან მუშები და თითქმის ყველა ეგრეთ წოდებული ინოგოროდცები, მეორე მხრით მდიდარი ყაზახობა და ჩამოსული აფიცერ-იუნკრობა.

აქაურ მდგომარეობის გასაცნობათ უნდა განვუმარტო მკითხველს, რომ ყუბანის ოლქი ყაზახების ოლქია. მისი ასე ვთქვათ პატრონი, მიწის მფლობელი ყაზახობაა, რომელიც მთიელებთან საბრძოლველათ ჩამოუსახლებია მთავრობას. ისინი ოდესღაც სამხედრო კარდონს შეადგენდენ. დროთა ვითარებაში აქ ჩამოსახლებულან არა ყაზახი რუსებიც, რომელთა რიცხვი საკმაოთ დიდია. ესენი უმეტესათ ან ვაჭრებია, ან მუშებია, ხელოსნები, ინტელიგენცია და სხვ. ისინი ეკონომიურათ ყაზახებზე არიან დამოკიდებული, მათ მამულზე მუშაობენ საიჯაროთ; ან ქარხანა-ფაბრიკებს შეფარებიან. მათსა და ყაზახებ შორის უფსკრულია გავლებული. ეს ორი ერია. ორი სხვადასხვა ტომი, რომელნიც ერთმანეთში არამცდა არამც არ ირევიან. ყაზახობას თავისი ორგანიზაცია აქვს, დანარჩენები, ე. ი. ინოგოროდცები ე. ი. სხვა მცხოვრებლები ასეთ ორგანიზაციას მოკლებული არიან.

თავისუფლების გამოცხადებამ და საერთო ძმობაზე ხმა მაღალმა ყიჟინამაც ვერ ამოავსო მათ შორის გათხრილი უფსკრული. ყაზახებმა თავიდანვე შექმნეს თავის განსაკუთრებული „სამხედრო კრუგი“ ანუ რადა, რომელშიაც მხოლოდ ყაზახები იღებდენ მონაწილეობას და თავის მართველობა აირჩიეს. დანარჩენებს არც იკარებდენ ახლოს. მე მგონია უფრო იმიტომ, რომ ამ „ინოგოროდცებს“ მათ მიწაზე უფლება არ განეცხადებია. რევოლიუციამ ხომ პირველ დღიდანვე მიწის რეფორმა გამოაცხადა თავის მთავარ საგნათ, ე. ი. უმიწაწყლო გლეხებისთვის მიწების დარიგება. აქ, ყუბანის ოლქში კი უმიწაწყლო „ინოგოროდცებია“ მიწიანი კი ყაზახებია. და რა გასაკვირველია, რომ ამ უკანასკნელთ პირველთა სტუმრობა არ ესიამოვნებოდათ. ადგილობრივ ამხანაგების სიტყვით დიდი ბრძოლა და მოლაპარაკება შეიქნა საჭირო, რომ ყაზახებს „ინოგოროდცებთან“ საერთო ორგანიზაცია შეეკრათ, და ერთ მთავრობაში შესულიყვენ.

დღესაც ყაზახთა მთავრობა („ვოისკოვოი პრავიტელსტვო“) ცალკე არსებობს და საერთო მთავრობა ყუბანის ოლქისა ცალკე. ესაა პირველი სოციალური წინააღმდეგობა ყუბანის ოლქის. ამას ზედ ერთვის მეორეც. წინააღმდეგობა მდიდარი და ღარიბი ყაზახობის. ამ ორმაგ წინააღმდეგობის ქვეშ იხნიქება ყუბანის მართველობა და მისი გასწორება ვერ მოუხერხებია. სერიოზულ ლაპარაკს ამ უთანასწორობის შემსუბუქებაზე მე არსად შევხვედრივარ. აგრარული რეფორმა აქ თითქოს მივიწყებულია. დემოკრატიის ინტერესები, რომელიც რევოლიუციამ ასე მწვავეთ წამოაყენა, აქ სადღაც კუთხეშია მიგდებული, მათზე არავინ იტკივებს თავს.

ამ ნიადაგზე გასაკვირველი არაა, თუ მთელი „ინოგოროდცები“ ერთბაშათ ბალშევიზმს ემხრობიან და ამ რეაქციონურ მიუკარებლობას სასტიკ ომს უცხადებენ. ტრამვაიში, სავაჭროებში, ქუჩებში, ყოველი ღარიბულათ ჩაცმული უეჭველათ ბალშევიკების ემხრობა, თუმცა ამ პოლიტიკურ მიმდინარეობაზე მას იმდენივე წარმოდგენა აქვს, რამდენიც ჩინეთის ბოგდიხანზე. ბალშევიზმი ამ მასსისთვის ოპოზიციის განხორციელებაა, იგი ამ მდიდართა ბატონობის წინააღმდეგია, გათანასწორების მოციქულია და მეტი არაფერი. დანარჩენი მას არ აინტერესებს.

როდესაც ეკატერინოდარის გარშემო ზარბაზნებს გრიალი გაჰქონდა და ცნობები მოვიდა—ბალშევიკები დაამარცხესო, მასსა არ შემკრთალა, იმედი არ გადაუწყვეტიათ. პირიქით, შეხვდებით ამაყ სიტყვებს: რათ ებრძვიან უბრალოთ ეს უბადრუკნი (ე. ი. აფიცრები), ბოლოს და ბოლოს ხომ ქალაქი მაინც ჩვენ ხელში იქნებაო. წინააღმდეგობა მათ მეტს ზარალს მოუტანს. არა სჯობია უომრათ დანებდენო.—ასე შეუბოჭავს საშინელ წყურვილს გასაჭირიდან თავის დახწევისას მასსიური მცხოვრებელი. მუშებზე, რომელნიც აქ ბლომათ არიან, ხომ ლაპარაკი მეტია. ისინი, როგორც მუშები და ინოგოროდცები—ერთიანათ წინააღმდეგი არიან ადგილობრივი მთავრობის.

როცა 14 იანვარს დამფუძნებელი კრების გარეკის გამო ქალაქში საპროტესტო მიტინგები იყო დანიშნული, მუშები ამ მიტინგებს ერთიც არ მიჰკარებია. ტრამვაი კი დემონსტრატიულათ მუშაობდა, მიუხედავათ იმისა, რომ საყოველთაო გაფიცვა იყო იმ დღეს გამოცხადებული მთავრობისა და რევოლიუციური პარტიებისაგან. მხოლოდ ქარხნები, როგორც გადმომცეს იქაურმა ამხანაგებმა, არ მუშაობდენ. მუშათა დიდი ნაწილი ამ მხრით არ გაყვა ბალშევიკების მოთხოვნას, რომ მუშაობა არ შეეწყვიტათ, მარა არც ქუჩებზე გამოვიდა და ბურჟუების მიტინგს არ შეუერთდა. იგი განზე გადგა და თავის საკუთარ ოცნებას განცალკევებული ელოლიავებოდა. ქალაქთან, ამ იუნკრების, აფიცრების, რეაქციონერების და რესტავრაციის მოციქულთა ბუდესთან მას საერთო არაფერი აქვს.

და ქალაქიც, თავის რეაქციონურ სულისკვეთებით მეტათ მტრულ განწყობილებაშია მათთან. მუშები აქ სალანძღავი სიტყვაა. ამ ტერმინს ზედ ურთავენ: ბრბო, გათახსირებულნი და სხვ. რუსულ საყველპურო ეპიტეტებს, რომლითაც ასე მდიდარია რუსული ლექსიკონი. ამ რიგათ ამ ორ ბანაკ შორის შეურიგებელი მტრობაა. ბრძოლა ყოველ წუთს მოსალოდნელია. თვითოეული ქარხანა, ყოველი მუშის ოჯახი, მტრის ბანაკია. მეორე მხრით აფიცერ-იუნკრობას ხელი ხმალზე უდევს და ყოველ წუთს მზათაა ის ქარქაშიდან იძროს. ასეთ გავარვარებულ ატმოსფერაში იმყოფება ეკატერინოდარი. თოფის წამლის სუნით გაჟღენთილია იქაურობა და რა ჟამს გავარდება ტყვია არავინ იცის.

საერთო ენა ამ ორ ბანაკ შორის დიდი ხანია დაკარგულია. ერთათ-ერთ მოციქულათ ტყვია-წამალი და ითვლება.

და მთავრობა, ან უკეთ რეაქციონერთა წრეები ემზადებიან. საჩქაროთ დგება მოხალისეთა რაზმი, ე. წოდებულ პარტიზანებისა, რომელნიც თავდაპირველათ ქალაქის დაცვას კისრულობდენ, მარა მალე კლასობრივ ბრძოლის იარაღათ გამოვიდენ.

პირველი თავდასხმა პროფესიონალურ კავშირებზე და მუშათა საბჭოზე მოახდინეს. საბჭო გარეკეს, მისი ხემძღვანელები შეიპყრეს, საბჭოს ბინა ააფორიაქეს. ასეთივე ბედი ეწვია პროფესიონალურ კავშირებს. ამ რიგათ მუშათა ორგანიზაციები ქალაქში გაანადგურეს.

მუშები ამან მეტის-მეტათ გააბრაზა, მარა მათ საკმაო ძალა არ შესწევდათ ამ შეიარაღებულ რეაქციონერთა ბრბოს იარაღით შებრძოლებოდენ. ამიტომ ისინი თავის რაიონში ჩაიკეტენ, და მტერთადმი ზიზღი ღრმათ გულში ჩაიმარხეს. ახლოს-მახლო მდგომ ბალშევიკურ ჯარებს და საბჭოებს დელეგაციები დაუგზავნეს დახმარების სათხოვნელათ. აქედან დაიწყო მზადება ეკატერინოდარზე თავდასასხმელათ. განსაკუთრებით ემზადებოდა ნოვოროსიისკი, სადაც ძალა-უფლება ბალ-

ივანეიშვილებს ქუთაისის გუბ. კომისარმა მიუსაჯა თითო კვირის ციხე და ყოველივე ზარალის ანაზღაურება. ილ. და ერ. აფრიდონიძეებს ორი კვირის ციხე და ზარალის ანაზღაურება.

## ქართველ ერისადმი

მოქალაქენო! რევოლიუცია განსაცდელშია. რუსეთში აღარ არსებობს დემოკრატიის თანაგრძნობით და საყოველთაო ნდობით აღჭურვილი მთავრობა. სამოქალაქო ომი გაჩაღდა. საქმე იქამდის მივიდა, რომ ბალშევიკების მთავრობამ თავისუფალი ერების წინააღმდეგ მახვილი აიღო. ძმათა შორის სისხლი იღვრება. ბნელი ძალები ამოძრავდენ და მშვიდობიან მცხოვრებთ იკლებენ. ეს რევოლიუციის დასამარებას და სამშობლოს დაღუპვას ამზადებს. ბალშევიკების თარეში გზას უკაფავს რეაქციის თარეშს.

მოქალაქენო! თქვენ უნდა იხსნათ დიადი რევოლიუცია! დადგა დრო, როცა კითხვა იარაღმა უნდა გადასჭრას. ყველანი საომრათ დაირაზმენით. ხალხის თავისუფლების შინაურ და გარეშე მტერთაგან დასაცველათ. დემოკრატიულ ქვეყნებში, მაგ., შვეიცარიაში დაწესებულია სახალხო მილიცია, ანუ ხალხის საყოველთაო შეიარაღება. ჩვენც აქეთკენ ვისწრაფით. ამ მიზნით ჩვენ გადავწყვიტეთ ახლავე შევუდგეთ სახალხო მილიციის შედგენას. ყველა მოქალაქე 18-დან 45 წლამდე გარდა სამხედრო ბეგარის მოხდილთა, ვალდებული იქნება თავის სოფელში ორი თვის განმავლობაში გამოცხადდეს ხოლმე სავარჯიშოთ და თოფ-იარაღის ხმარების ჴესასწავლათ. ხელმძღვანელებათ დანიშნული იქნებიან სამხედრო ხელოვნების მცოდნე პირები. საქმის მოწყობა და მეთაურობა აღმასრულებელ კომიტეტებს დაეკისრება. მიღებულია ყოველი ზომა საკმაო იარაღის შესაძენათ და ხალხის საყოველთაო შესაიარაღებლათ. როცა ეს განხორციელდება, საქართველო ამ მხრივ დემოკრატიულ შვეიცარიას დაემსგავსება. მარა დრო არ ითმენს. ახლავე საჭიროა სამხედრო საქმეში გაწვრთნილი პირები. მხოლოდ ამ გზით შეიძლება რევოლიუციის ხსნა, ქვეყნის დაცვა და ბნელი ძალების ალაგმვა.

და აი ამ მიზნით ამიერ-კავკასიის კომისარიატი მოქალაქეთ სამხედრო ბეგრის მოსახდელად იწვევს. ყველა მოქალაქე 19-დან 25 წლამდე ვალდებულია ჯარში ჩაეწეროს და ეროვნულ პოლკებში ჩაეწერონ. დღემდის სალდათობა სამნახევარი წელი გრძელდებოდა. **ახლა ჯარისკაცებს მხოლოდ ექვსი თვით იწვევენ.** ეს სახალხო მილიციისაკენ გარდამავალი საფეხურია. დღემდის ჯარისკაცებს შორეულ რუსეთში ისტუმრებდენ და იქ უცხო ენაზე ავარჯიშებდენ. ამიერიდან ჯარში გაწვეული ახალგაზრდები უმთავრესათ თავის სამაზრო ქალაქებში დარჩებიან, თავის ცოლ-შვილის ახლოს, და სამხედრო ხელოვნების შესწავლაც სამშობლო ენაზე მოხდება. ამ ჯარის დანიშნულება იქნება შინაური წესრიგის უზრუნველყოფა და რევოლიუციის და სამშობლო ქვეყნის ყოველნაირ საფრთხისაგან დაცვა.

მოქალაქენო! ბნელი ძალები და პროვოკატორები შეეცდებიან თქვენთვის გზების აბნევას. უკვე ხმებს ავრცელებენ, თითქოს ამიერ-კავკასიის კომისარიატი ახალ ომს იწყებდეს. ნუ დაუჯერებთ პროვოკატორებს. ამიერ-კავკასიის ადგილობრივი მთავრობა ზავს ეტრფის და ყოველი საშუალებით ამზადებს მას.

ბალშევიკების მთავრობა ხალხს ჰპირდებოდა დაუყოვნებლივ ზავს, ზავს უანექსიოს და უკონტრიბუციოს, ერთა თვითგამორკვევის ნიადაგზე, მაგრამ ხალხი მოტყუებული დარჩა. ზავის და მშვიდობიანობის ნაცვლად ბალშევიკების პოლიტიკამ დაბადა საშინელი ანარქია, საყოველთაო დარბევა და ხოცვა-ჟლეტა. ეხლა მათ სულ გააშიშვლეს ყველა ფრონტი და მთელი რუსეთი გერმანიის იმპერიალისტების სამსხვერპლოზე გაიტანეს. ამ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. ჩვენ უნდა შევკრათ ნამდვილი, დემოკრატიული და სამართლიანი ზავი.

ამიერ-კავკასიის კომისარიატს ოსმალეთმა განცხადებით მიმართა, რომ ის მოსურნეა ზავისა და ადგილობრივი მთავრობა დაჩქარებით შეეცდება, რომ ზავზე საბოლოო მოლაპარაკებას დაუყოვნებლივ შევუდგეთ.

ახალი ჯარი რევოლიუციის დარაჯი ძ მოქალაქეთა საუკეთესო დამცველი იქნება, ვიდრე სახალხო მილიცია გაიწრთვნება და შეიარაღდება, რომელსაც საბოლოოთ გადაეცემა ხალხის და მისი თავისუფლების სვე-ბედი.

მოქალაქენო! ქართველი დემოკრატია მუდამ რუსეთის რევოლიუციის მოწინავე რაზმს წარმოადგენდა. ის თავის მოვალეობას პირნათლათ შეასრულებს ახლანდელ მძიმე ხანაშიაც. დეე, ყველა ახალგაზრდა გამოცხადდეს დანიშნულ ადგილებზე ხალხის უფლებათა დასაცველათ, მიწისა და თავისუფლების მოსაპოებლათ და მკვიდრი ზავის დასაჩქარებლათ.

მოქალაქენო! აასრულეთ თქვენი მოვალეობა!

გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციას!

გაუმარჯოს საერთაშორისო სოლიდარობას!

გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიას!

**საქართველოს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.**

## ამიერ კავკასიის სეიმის დეპუტატები

რ. ს.-დ. მ. პ. ამიერ კავკასიის ორგანიზაციათა მე-VII! ყრილობამ მოახდინა სეიმის დეპუტატების დამატებითი არჩევნები. მოგვყავს სრული სია სეიმის დეპუტატებისა:

1. ნოე ჟორდანია, 2. ირაკლი წერეთელი, 3. კარლო ჩხეიძე, 4. ევგენი გეგეჭკორი, 5. არშაკ ზურაბოვი, 6. ნოე რამიშვილი, 7. ისიდორე რამიშვილი, 8. აკაკი ჩხენკელი, 9. მათე სკობელევი, 10. ვლ. ჯიბლაძე, 11. გრ. გიორგაძე, 12. მ. სმირნოვი, 13. ი. ბეჟბადიანი, 14. ალ. ლომთათიძე, 15. გ. ტერ-გაზარიანი, 16. გ. მახარაძე, 17. რ. არსენიძე, 18. ერ. ბერნშტეინი, 19. ბ. თევზაია, 20. სილიბისტრო ჯიბლაძე, 21. ნოე ხომერიკი, 22. გ. ერაძე, 23. კ. ანდრონიკაშვილი, 24. დ. ონიაშვილი, 25. პირუმოვი, 26. გ. ანჯაფარიძე, 27. რ. ჩიხლაძე, 28. გურჯუა, 29. გაიდარ აბაშიძე, 30. გ. გაგლოევი, 31. ლ. დადიშკელიანი, 32. ვლადიმერ ახმეტელაშვილი, 33. ვ. ჯუღელი, 34. ვლასა მგელაძე, 35. კ. ქარცივაძე, 36. ალ. დგებუაძე.

კანდიდატები. 1. მინადორა ტოროშელიძე, 2. ბაქოს ორგანიზაციის წარმომადგენელი, 3. სტრელკოვსკი, 4. კ. გვარჯალაძე, 5. ი. სალაყაია, 6. ვლ. ემუხვარი, 7. ცინცაძე, 8. კილურაძე, 9. ილ. ფირცხალაიშვილი, 10 ლევაშკევიჩი, 11. ს. ფარნიევი, 12. ბერიშვილი, 13. მოისეენკო, 14. კ. კანდელაკი, 15. გრ. ურატაძე, 16. ა. ჩიკავა, 17. კოვალიოვი. 18. ბ. პირუმოვი.

## რუსეთის ამბები

**რა ხდება პეტროგრადში.** როგორც პეტროგრადიდან ჩამოსულები გადმოგვცემენ ცხოვრება იქ თანდათან საშინელ სახეს ღებულობს. სათბობი მასალა სულ აღარ არის და საშინელ ყინვაში მცხოვრებნი ველარ ათბობენ სახლებს და სიცივისაგან იყინებიან. სათბობ მასალის უქონლობის გამო ტრამვაი აღარ მუშაობს. ელექტრონი მხოლოდ საღამოს 7 საათიდან 10 საათამდე ანათებს, მერე აქრობენ. მთელი ქალაქი სიბნელით არის მოცული. სურსათ—სანოვაგე სანატრელი გამხდარა პეტროგრადელებისთვის, ზოგიერთი სანოვაგე სრულებით არ იშოვნება და რაც ჴრის იმაზე საზღაპრო ფასები ადევს. მაგ. ერთი გირვანქა კარტოფილი ღირს ორი მანეთი, ერთი ჭიქა რძე მანეთ ნახევარი, გირვანქა ერბო 15 მანეთი. სულზე დღეში ერთი მერვედ გირვანქა პურს აძლევენ, ხშირათ სულ არაფერსაც, და უმრავლესობა რამდენიმე დღე უპუროთ ზის. შიმშილობა თანდათან ფეხს იკიდებს და ამ ნიადაგზე უკმაყოფილებაც ფართე ხასიათს ღებულობს.

**განხეთქილება ბალშევიკებში.** ზავის საკითხმა ამ ბოლო დროს პეტროგრადის ბალშევიკებში დიდი განხეთქილება გამოიწვია. ერთი ნაწილი მომხრეა დათანხმდეს იმ პირობებზე, რომლებიც გერმანიამ წამოუყენა და შეკრან მასთან ზავი. უმრავლესობა კი იმ აზრის არის, რომ არ დასთანხმდეს ამ პირობებზე და სამღვთო ომი გამოაცხადოს. ამ უკანასკნელთ ემხრობიან მემარცხენე ს.-რ. ინტერნაციონალისტები იმ აზრის არიან, რომ ეხლანდელ მთავრობას არ შეუძლია ომი დაიწყოს. რუსეთის ხსნა შეუძლია მხოლოდ კოალიციურ მთავრობას ბალშევიკებიდან სახალხო სოციალისტებამდე.

უკეთუ სახალხო კომისრების საბჭომ გადასწყვიტა სამღვთო ომის გამოცხადება, კოალიციურ მთავრობის შედგენა ამ დღეებში გადასწყდება.

**რუმინელები ბესარაბიაში.** რუმინელები თანდათან წინ მიიწევენ ბესარაბიაში და დაპყრობილ ადგილებში ტერორი გაამეფეს. იჭერენ აუარებელ ხალხს და ხვრეტენ; შემოიღეს სამხედრო ცენზურა, გარეკეს დემოკრატიული ორგანიზაციები, აკრძალეს კრებები და სხვ.

კიშინევში გამოაცხადეს საალყო წესები. მოლდავანების ჯარების ნაწილების სარდალმა გამოაცხადა, რომ აღდგენილია ისევ პაგონების ტარება და სამხედრო სალამი. ვინც ამას არ შეასრულებს, სამხედრო სამართალში მისცემენ. დაიპყრეს თუ არა კიშინევი, რუმინელებმა მოედანზე აღლუმი გამართეს. ალექსანდრეს ძეგლს ჩამოფარებული ტილო ჩამოაცალეს და პატივი სცეს. ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მცხოვრებლებში, ამიტომ ძეგლი ისევ დახურეს.

მცხოვრებნი გარბიან კიშინევიდან. რუმინელებმა დაატუსაღეს სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენელნი, მაგრამ შემდეგ ისევ გაანთავისუფლეს.

იარაღი აჰყარეს ებრაელთა ჯარის ნაწილებს. რუმინელებმა ხელში ჩაიგდეს მრავალი იარაღი და სურსათი, რუსის ჯარების მიერ მიტოვებული.

**პეტროგრადის გარნიზონი და მუშები.** დამფუძნებელ კრების გარეკამ და 5 იანვარს პეტროგრადის ქუჩებში ბალშევიკების მიერ ხალხის ხოცვა-ჟლეტამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია პეტროგრადის გარნიზონში და მუშებში. ჯარში დიდ აგიტაციას ეწევიან ბალშევიკების წინააღმდეგ. ქარხნებში რეზოლიუციები გამოაქვთ, რომლითაც უკან იწვევენ საბჭოში თავიანთ წარმომადგენლებს და ხელახალ არჩევნებს ახდენენ. საზოგადოთ ისეთი უკმაყოფილება დაიბადა და ძლიერდება, რომელიც დიდ საფრთხეს უმზადებს ბალშევიკებს და ამიტომაც არის, რომ „სმოლნი" ღრმად ჩაფიქრებულია ამ ჟამად.

**შეტაკება ბალშევიკებსა და ანარქისტებს შორის.** ბალშევიკების პირველ გამოსვლას სიხარულით შეხვდენ ანარქისტები. მათ საქვეყნოთ აღიარეს, რომ მათ ძლიერ ბევრი რამ აქვთ საერთო ბალშევიკებთან და ყოველივე მათ ველურ გამოსვლას სამართლიანათ სთვლიდენ და მხარს უჭერდენ. ამ ბოლო დროს რაღაც მოხდა მათ შორის. ჩამოვარდა განხეთქილება, გუშინდელი ძმები დღეს მოსისხლე მტრებათ გადაიქცენ. განხეთქილება დღითი დღე მწვავე ხასიათს ღებულობს. ამ დღეებში პარტიულ ნიადაგზე წითელგვარდიელებმა მოჰკლეს ანარქისტი ელნიკოვი.

**დიდებული ქორწინება.** ამ დღეებში მოხდა დიდებული ქორწინება. სამოქალაქო ნებით შეუღლდენ „სამზრუნველოს მინისტრი ქალი ალექსანდრა მიხეილის ასული კოლონტაი და ზღვათა მინისტრი „მატროსი" დიბენკო. კოლონტაი უკმაყოფილოა თურმე, რომ ლენინის ბრძანებით ბანკიდან 150 მანეთის მეტს არ იძლევიან კვირაში, რადგან ეს მცირედი ფული თურმე მას არ ყოფნის. კოლონტაის მამული გლეხებს ჩაუგდიათ ხელში და იქიდან არაფერს არ ღებულობს.

## უცხოეთი

**მდგომარეობა ავსტრო-უნგრეთში.** დღევანდელი მდგომარეობის გამო ჩვენ მოწყვეტილი ვართ და არავითარ ცნობებს არ ვღებულობთ არა თუ საზღვარგარეთიდან პეტროგრადიდანაც კი. კანტი-კუნტათ მოსულ ცნობებიდან სჩანს, რომ ავსტრო-უნგრეთში პირველ იანვრიდან დაწყებულა მუშათა მოძრაობა და რაც დღე გადის ის თანდათან ფართე ხასიათს ღებულობს. მთავრობა ყოველივე საშუალებას ხმარობდა ჩაექრო ეს მოძრაობა, მაგრამ ამაოთ, ეს ვერ შესძლეს. საყოველთაო გაფიცვის პირველი ნიშანი მისცა ქ. ვინერნეიშტადმა. მუშებმა მოულოდნელათ თავი დაანებეს სამუშაოს, ამის შესახებ არავითარი თათბირიც კი არ ჰქონიათ ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან, ხელათ მოაწყვეს გრანდიოზული მანიფესტაცია და მოითხოვეს უანექსიო ზავი.

გაფიცვამ თანდათან ფართე ხასიათი მიიღო. ვენის ახლოს ფლოპისდარფში მუშებმა გადასწყვიტეს ქალაქის ცენტრისკენ წასულიყვენ. აქ მოხდა პირველი შეტაკება პოლიციელებთან, რამაც ადგილობრივ მცხოვრებლებს თავზარი დასცა, ხელათ ყველა მაღაზიები დახურეს და ტრამვაის მოძრაობა შეწყდა. მუშები წინ მიიწევდენ და ბოლოს საპირონის მოედანს მიახწიეს, აქაც პოლიციელები შეეტაკენ, მაგრამ დამარცხდენ. როგორც იქნა ბურგომისტრმა შესძლო მათი დამშვიდება. ყველგან შესდგა მუშათა კომიტეტები. ფლორისდარფში აირჩიეს მუდმივი კომიტეტი, რომელშიაც შედიან ყველა პროფესიის წარმომადგენელნი.

მოძრაობაში ჩაერია ს.-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც სამ იანვარს გამოუშვა მოწოდება. მოძრაობა ელვის სისწრაფით ედებოდა წარმოების ყოველ დარგს და ბოლოს 6 იანვარს იქამდე მივიდა, რომ გაზეთების გამოსვლაც შესწყდა.

ს.-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის მოწოდებაში მოსთხოვა მთავრობას, რომ მუშათა ექსცესები არ მოხდეს, დაუყონებლივ შეკრას უანექსიო ზავი, მოაწესრიგოს სასურსათო საქმე, შემოიღოს დემოკრატიული საარჩევნო კანონი და უარი სთქვას სამრეწველოების მილიტარიზაციაზე.

მთავრობამ პარტიის ლიდერებთან მოლაპარაკება დაიწყო.

გამოაქვეყნეს ავსტრიის ს.-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის დეკლარაცია, რომელშიაც აცხადებენ, რომ ვენაში და სხვაგან გაფიცვა სტიქიურათ დაიწყო, მაგრამ ის არის პროტესტი ბრესტ-ლიტოვსკში საზავო მოლაპარაკების დროს უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის პრინციპების დარღვევის წინააღმდეგ.

კომიტეტი მოუწოდებს მუშებს მშვიდობიანობისაკენ და არწმუნებს სამთო, სატრანსპორტო რკინის გზის, ტრამვაის და სურსათის საქმის მუშებს განაახლონ მუშაობა, რომ საშინელი კატასტროფა არ მოხდეს.

8 იანვარს მოულოდნელათ გაფიცვამ ფრიად სერიოზული ხასიათი მიიღო. ცხადია პარტიის ლიდერებმა მასაზე გავლენა დაჰკარგეს. გაფიცვამ ნამდვილი სტიქიური ხასიათი მიიღო.

## რ. ს.-დ. მ. პ. ამიერ კავკასიის ორგანიზაციათა მე-VIII ყრილობა

(გაგრძელება)

ამიერ-კავკასიის სეიმისა და მის დანიშნულების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ევგენი გეგეჭკორი. ჩვენ—ამბობს მომხსენებელი—ყოველთვის ჩვენს იმედებს ვამყარებდით რუსეთის დემოკრატიის ფრონტის მთლიანობას. მჭიდრო კავშირი რუსეთის დემოკრატიასთან—აი საფუძველი ჩვენი მუშაობისა. ეს საფუძველი ისტორიამ გაამართლა და სრულებითაც არ იყო საჭირო იგი შეგვეცვალა. მაგრამ ოქტომბრის გადატრიალებამ ჩვენ სავსებით მოგვწყვიტა რუსეთს, ამიერკავკასია ყოველ მხრივ საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა და ჩვენს წინაშე დადგა საკითხი თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავით, რომ ადგილობრივ მაინც გაგვემაგრებია რევოლიუცია და მოსალოდნელი ანარქია თავიდან აგვეშორებია.

პასუხს თვით რეალურ ძალთა განწყობილება გვიკარნახებდა. 11 ნოემბერს გადაწყდა ადგილობრივ დროებით მთავრობის მოწყობა და მაშინვე იქნა დადგენილი, თუ სრულიათ რუსეთის დამფუძნებელი კრება რაიმე მიზეზების გამო ვერ შეიკრიბებოდა, ან ვერ მოეწყობოდა ერთი ყველას მიერ აღიარებული ცენტრალური მთავრობა, ჩვენ აქ უნდა მოგვეწვია რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე გასაგზავნათ ამიერ-კავკასიიდან არჩეულ დეპუტატების კრება, რომელიც შეადგენდა ადგილობრივ მთავრობას. დღეს შეიქნა ისეთი მდგომარეობა, რომ ჩვენ არ ვიცით როდის გახდება შესაძლებელი სრულიათ რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევა. ამიტომ ჩვენ უნდა შევქმნათ ადგილობრივი ორგანო. ამიერკავკასიაში მოსახლეობს სამი მთავარი ერი მუსულმანები, სომხები და ქართველები. პოლიტიკურ მომზადების მხრით ეს ერები ძლიერ განსხვავდებიან ერთი მეორესაგან. ამ ერთა ნაციონალისტები ცდილობენ თავის ერი გამოაცალკევონ, რომ უფრო ადვილათ შესძლონ ბატონობა. ამიტომ სახელმწიფოებრივი ორგანო ამიერ-კავკასიაში უნდა მოეწყოს საერთო ამიერ-კავკასიური მასშტაბით, რომ შევასუსტოთ ცენტრით მსრბოლი ძალები. ეს ორგანო უნდა უკარნახებდეს თავის ნებას მთელს ამიერ-კავკასიას. ასეთი ორგანოა სეიმი საკანონმდებლო ფუნქციებით. ეს იქნება ამასთანავე ცდა საერთო ფრონტის აღსადგენათ. მაგრამ სეიმის წინააღმდეგ გამოილაშქრეს როგორც მარჯვენით, ისე მარცხნით. მარჯვენიდან გვებრძვიან იმიტომ, რომ სეიმი ხელს შეუშლის ნაციონალისტებს გამოაცალკევონ თავისი ერი და აწარმოვონ თავის ბატონობის გამამტკიცებელი პოლიტიკა. მარცხნიდან გვებრძვიან იმიტომ, რომ ჩვენ თითქოს ჩამოვშორდით რუსეთს. გამოდის, რომ ჩვენ ვასამარებთ იმ იდეიას, რომლისთვისაც ვიწვევთ სეიმს, გამოდის, რომ ჩვენ ვმოქმედობთ ძირითად პრინციპის წინააღმდეგ. დღეს არ არსებობს მთლიანი რუსეთი, იგი დაფლეთილია ნაწილებათ. ჩვენ ბევრში არ ვეთანხმებოდით დროებით მთავრობასო, ამბობს მომხსენებელი და მოყავს ამის დასამტკიცებლათ ფაქტები. მაგრამ —განაგრძობს იგი —მაინც უნდა ითქვას, რომ დროებით მთავრობის დროს რევოლიუციონური ფრონტის მთლიანობა არ დარღვეულა. დღეს კი ისეთი მდგომარეობაა, რომ ჩვენ იძულებული ვართ ადგილობრივ გავამაგროთ რევოლიუცია, რომ ამით ხელი შეუწყოთ საერთო ფრონტის აღდგენას. მაგრამ ბალშევიკები ჩვენ გვებრძვიან ტაქტიკურის მოსაზრებით, ვინაიდან ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯი არ ეთანხმება სახალხო კომისართა საბჭოს პოლიტიკას, ბალშევიკებიც ებრძვიან მას. ისინი მოითხოვენ საბჭოების მთავრობის შექმნას, მაგრამ ამ მიზნის განხორციელება შეუძლებელიაო—ამბობს მომხსენებელი და მოყავს ფაქტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ჩვენში საბჭოები თითქმის არ არსებობს და რომელიც არსებობს, ისიც ძალა-გავლენას მოკლებულიაო. სეიმის წინააღმდეგ გამოილაშქრეს აგრეთვე სოციალისტ-რევოლიუციონერებმა და დაშნაკელებმა. მაგრამ მათი გამოლაშქრება ყოვლად უსაფუძვლოა, რაც უკვე აღინიშნა დეპუტატების პირველ სხდომაზე. სრულიათ რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევამდე თუ ჩვენ აქ არ მოვიწვიეთ სეიმი, ამიერ-კავკასია კატასტროფიულ მდგომარეობაში ჩავარდება. სეიმი უნდა იყოს სრული საკანონმდებლო უფლებებით აღჭურვილი.

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, თუ რა მთავარი საკითხები უნდა გადასჭრას სეიმმა. ასეთი საკითხებია ზავის, ტერიტორიალური გამიჯვნის, აგრარული და სხ. საკითხები. სეიმმა უნდა შექმნას აგრეთვე მთავრობა, და რომ ეს მთავრობა ძლიერი იყოს, რომ იგი სარგებლობდეს საერთო ავტორიტეტით, საჭიროა, რომ იგი იყოს ერთფეროვანი, დემოკრატიული. სეიმმა უნდა განსაზღვროს რევოლიუციონურ და ნაციონალურ ორგანიზაციების უფლება—დანიშნულება. ყველა ორგანიზაციები უნდა ასრულებდეს მხოლოდ თავის მოვალეობას და არ უნდა ერეოდეს სხვის კომპეტენციაში. მე არ გამოვდივარ ნაციონალურ საბჭოების მტრათ. თუ ისინი ნორმალურ ჩარჩოებში იმუშავებენ, დიდ სამსახურს გაუწევენ თავის ერს. რევოლიუციონური ორგანიზაციებიც უნდა აწარმოებდენ საერთო პოლიტიკურ მუშაობას, ისინი უნდა იყვენ ხელმძღვანელი, გზის მაჩვენებელი, მაგრამ დემოკრატიის ნებას არ უნდა ქმნიდენ.

დიდი მოვალეობა აწევს ჩვენს პარტიას, მას ისტორიული საკითხები უდგას წინ გადასაჭრელათ. ამასთანავე მას ცოტა ყავს მოკავშირე, ხოლო მტერი კი ბევრი. მაგრამ მე მწამს, რომ ჩვენი პარტიის სიღრმეში აღმოჩნდება ძალები, რომლებიც დაამარცხებენ ყოველგვარ მტერს, საიდანაც უნდა მოდიოდეს იგი. ამ რწმენით მე ჩამოვდივარ ტრიბუნიდან. (ხანგრძლივი ტაში).

**ვ. ჯუღელი** მოითხოვს შესდგეს ერთფეროვანი მთავრობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ გადავჭრით ისეთ საკითხებს, როგორიც არის მაგ. აგრარული საკითხი. სეიმი უნდა იყოს სრული ძალა უფლებით აღჭურვილი, ჩვენ უნდა შევებრძოლოთ ნაციონალისტურ ტენდენციებს. ჩვენ არ ვართ თეორიულათ ეროვნულ საბჭოების წინააღმდეგი. მაგრამ პრაქტიკულ მუშაობის დროს იძულებული ვართ მათ შევებრძოლოთ. რევოლიუციონურ ცენტრებმა კანტროლი უნდა გაუწიონ მთავრებას, მაგრამ ძალა უფლება თვით არ უნდა მიითვისონ. დაშნეკელები, დღეს ისეთ მდგომარეობაში არიან, ისინი აუცილებლათ იმუშავებენ ჩვენთან. ბეგებთან კი ჩვენ ყოველივე კავშირი უნდა გავსწყვიტოთ.

**დ. ონიაშვილი.** სეიმის დროებითი ხასიათი დაასუსტებს მის მიერ შექმნილ მთავრობას. სეიმი უნდა იყოს სუვერენული საკანონმდებლო უფლებებით აღჭურვილი. სიტყვის დასასრულ ორატორი კითხულობს, როგორი იქნება დამოკიდებულება სეიმსა და მომავალ სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების შორისო.

**ს. დოლიძის** აზრით საჭიროა მთავრობა იყოს ძლიერი, რომ რევოლიუციონურ ორგანიზაციებმა არ მიითვისონ მთავრობის უფლებებიო.

**ლეო ელბაქიანი.** ჩვენ უნდა სამუდამოთ გავსწყვიტოთ კავშირი მუსულმანების ბეგებთან. მასსა არ მიყვება მათ და ამით ჩვენსკენ გადმოვიყვანთ ამ მასსას. მუსულმანები კარგათ იცნობენ ჩვენი პარტიის ლიდერს ნოე ჟორდანიას, ისინი ყოველთვის წამოვლენ ჩვენთან. თუ სხვა პარტიებთან მუშაობაზე მიდგა საქმე, უფრო შესაძლებელია, რომ ჩვენ მოგვიხდება მუშაობა დაშნაკცუტიუნთან, ვინაიდან იგი უფრო დემოკრატიული პარტიაა.

**აკაკი ჩხენკელი** უპასუხებს დ. ონიაშვილს და აღნიშნავს, რომ იგი ფორმალურათ მართალია, მაგრამ არ შეიძლება სეიმს მივცეთ სუვერენული უფლებები, ეს რუსეთიდან ჩამოშორების მომასწავებელი იქნებოდა. ჩვენ ყველა უფლებების წყაროთ ვაღიარებთ სრულიათ რუსეთის დამფუძნებელ კრებას და თუ დღეს აქ ვიწვევთ სეიმს—ეს ჩვენი უბედურებაა და არა ბედნიერება. შემდეგ ორატორი ეხება მთავრობის შედგენის საკითხს და ამბობს, რომ საბჭოებმა არ უნდა მიითვისონ მთავრობის უფლებები, უნდა შეიქმნეს ისეთი მთავრობა, როგორსაც მოითხოვს მომხსენებელი. ჩვენ უნდა შევებრძოლოთ მუსულმან მემამულეებს. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ჩვენ ბლოკი უნდა შევკრათ დაშნაკელებთან. ჩვენ წამოვაყენებთ სეიმში ჩვენს პლატფორმას და დავიცავთ მას, ვეცდებით სეიმის მუშაობაში ჩვენი პლატფორმის მიხედვით გადავსჭრათ ყველა კითხვები. ჩვენ უნდა ვეცადოთ ამ პლატფორმის გარშემო შევქმნათ უმრავლესობა. ეს უმრავლესობა შეადგენს მთავრობას. მაგრამ თუ ვერ მოვახერხეთ უმრავლესობის შექმნა, მაშინ ჩვენ დავრჩებით ოპოზიციაში, მთავრობაში არ შევალთ და განვაგრძობთ მუშაობას რევოლიუციონურ ორგანოებში.

**ზურაბაშვილი** ამბობს, შეუძლებელია ბლოკი შევკრათ რომელიმე პარტიასთანო და შემდეგ იმეორებს აკ. ჩხენკელის სიტყვას.

**ზ. გურულის** აზრით ყველა დაწესებულება უნდა აკეთებდეს მხოლოდ თავის საქმეს და არ უნდა ერეოდეს სხვის კომპეტენციაში.

---

შევიკების ხელში იყო და ტრაპიზონიდან მოსული ჯარიც ბლომათ იმყოფებოდა.

ნოვოროსიის სახალხო კომისრები გაალმასებულ აგიტაციას ეწეოდენ ყუბანის რეაქციონერთა წინააღმდეგ და სალდათებს მოუწოდებდენ მათ შესამუსრავათ. მაგრამ ვინც იცის, ფსიხოლოგია მოქანცული, ილაჯ-გაწყვეტილი რუსეთის ჯარის, რომელმაც საშინელ პირობებში გაატარა სამ ნახევარი წელიწადი მიწიერ სანგრებში და ყოველ-დღე პირდაპირ ნილ სიკვდილს მისჩერებოდა ჩაცვენილ თვალებში, ის ადვილათ მიხვდება, რომ ამ ჯარის საომრათ ამხედრება შინაურ მტერზედაც ისე ძნელია, როგორც გარეშეზე. მას სახლში მიეჩქარება, ოჯახის, კარმიდამოს ნახვა და იქ დასვენება ენატრება.

ამიტომ იგი ყველაფერს დასთმობდა და შინ გაეშურებოდა, მაგრამ აქაც ყუბანის მთავრობამ სრული უტაქტობა გამოიჩინა და თითქოს განზრახ გააჩაღა ბრძოლის კაცონი ეკატერინოდარის წინააღმდეგ. ნოვოროსიის პურის გზავნა მოუსპეს. იქიდან მომავალ ჯარს გზაში დახვდენ, ზედ ეკატერინოდარის სადგურზე თოფები და ტყვიის მფრქვევლები დაუშინეს, იარაღი აიყარეთო. მრავალი დაცხრილეს. ეს იყო 18 თუ 19 იანვარს. ამით მან ომი გამოუცხადა ნოვოროსიაში მყოფ ჯარს. ამ უკანასკნელს ამრიგათ გზა მოჭრილი დაურჩა. ან უნდა იარაღი დაეყარა და გაპარულიყო, ან ბრძოლა დაეწყო. ბალშევიკების აგიტაციას ამით ნოყიერი ნიადაგი მიეცა და მაინც შესძლეს რაზმების შედგენა ეკატერინოდარის წინააღმდეგ.

22 იანვარს დაიწყო პირველი შეტაკება სადგ. ენემზე. ეს სადგური სულ რამდენიმე ვერსითაა ქალაქზე დაშორებული. ზარბაზნების გრიალი მთელ ქალაქს ესმოდა, დილიდან საღამომდის არ შეწყვეტილა ძმათა სისხლის ღვრა. ბოლოს გამარჯვება პარტიზანებს დარჩა. ბალშევიკები, რომელთა მხრიდან იბრძოდენ უმთავრესათ წითელ გვარდიელები და შავი ზღვის მატროსები—დამარცხდენ. მათ ბევრი დაკარგეს მკვდარი და დაჭრილი. გაბოროტებული პარტიზანები აშკარათ ტრაბახობდენ, ჩვენ ტყვეებს არ ვიყვანთ, ყველას იქვე ვხოცავთო. სამასამდე მატროსი ადგილის უცოდინარობის გამო ჭაობებში მოხვდა, და ყველანი ამოეწყვიტათ. არ ვიცი რა მანქანებით, 70-დე ტყვე წამოეყვანათ.

უნდა მოგახსენოთ, ჩემზე ამ რეაქციონურმა ვაკხანალიამ მეტათ ცუდი შთაბეჭდილება დასტვა. იუნკერ-აფიცრების უმსგავსო საქციელი იმდენათ ამაშფოთებელი იყო, რომ ყველა პატიოსანი ადამიანი დაგმობდა. ყუბანის რადის დემოკრატიულმა წევრებმაც დაგმეს იგი. მათ მართალია ვერ შესძლეს თვით სამოქალაქო ომის წინააღმდეგ ხმის ამოღება და მთელი ბრალდება ამ ძმათა შორის სისხლის ღვრისა ბალშევიკებს მოახვიეს კისერზე, მათ წინააღმდეგ იარაღის აღება შესაფერ ზომათ იცნეს, მარა ასეთ უკიდურესი გაბოროტება და ველური მოპყრობა მაინც დასაგმობათ იცნეს.

მარა ეს განა შეაჩერებდა გაბოროტებულ მეომართ? მეორე დღეს პარტიზანებათ ჩაწერა გაცხოველდა. ყველა აფიცერს, ვისაც ქუჩაში შეხვდებოდენ, იწვევდენ რაზმში ჩასაწერათ. ბურჟუაზია ფულს აგროვებდა მათთვის. მოსწავლე ახალგაზრდობა წითელ ჯვარში ეწერებოდა. სოფლიდან მოხუცი ყაზახრუსები გამოიწვიეს, რადგან ახალგაზრდობა საიმედო არ იყვენ.

რეაქციონერთა ჯარს მიემხრო ჩერქეზებიც და ველურ დივიზიის ნაწილი, რომელიც იქ იმყოფებოდა.

ჩერქეზების გაბრაზება ერთგვარი პროვაკაციის შედეგი იყო. ბალშევიკებმა ენემის სადგურზე დაატუსაღეს ველურ დივიზიის ოფიცერი თავის „დენშჩიკით". ხმები მოვიდა აფიცერი აწამესო. გამოქცეულმა დენშჩიკმა, რომელიც დაუსხლტათ ბალშევიკებს ხელიდან, ჩერქეზის სოფლებს აცნობა, ჩვენი კაცი მოკლეს, თვალები დასთხარეს, აწამესო და სხვ.

მთიულები სისხლის აღების სურვილმა აიტაცა და ისინი მოულოდნელათ ზურგიდან დაესხენ ენემში ბალშევიკებს, მაშინ როდესაც მათ წინიდან ეკატერინოდარის პარტიზანები ეომებოდენ და ეს უკანასკნელნი იყვენ მზათ უკან გამოსაქცევათ. ჩერქეზების თავდასხმამ გადახარა ბრძოლის სასწორი ბალშევიკების საზარალოთ და ისინი, როგორც ავლენიშნე, რამარცხებულ იქნენ. ამ დღეს მოკლეს ბალშევიკების მეთაური იაკოვლევი, ნოვოროსიის კომისართა თავმჯდომარე ყუბანელთ მოუკლეს ატამანი გალაევი, ერთი პრაპორშჩიკი ქალი და ერთი ოფიცერი, დაუჭრეს თორმეტამდე. აღსანიშნავია, რომ ბალშევიკებს მიემხრენ ზოგიერთი ყაზახთა სტანიცებიდან ახალგაზრდობა ძ ომიდან დაბრუნებული ყაზახები, ყველანი მათ მხარეზე დადგენ. სხვა სტანიცები კიდევ წინააღუდგენ. ამ რიგათ თვით ყაზახობა ამ შემთხვევაში ორათ გაიყო და მოპირდაპირე მხარეზე დადგა. ასე გათავდა ბრძოლის პირველი დღე.

რ. ა.

(შემდეგი იქნება)

კ. ანდრონიკაშვილი. რუსეთის დემოკრატიასთან ერთობის პრინციპზე უნდა ავაგოთ ჩვენი საქმეები. თუ ჩვენ გვწამს, რომ ანარქიას ადრე თუ გვიან უნდა მოეღოს ბოლო, ცხადია სეიმიც დროებითი უნდა იყოს. ეროვნული საბჭოები—ეს პირდაპირი გაუგებრობაა. სეიმში ჩვენ უნდა მივიდეთ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა გზით. დასასრულ ორატორი მოითხოვს დაჩქარებით მოეწყოს საადგილმამულო კომიტეტები და გამოირკვეს აგრარული ურთიერთობა, რომ შესაძლებელი გახდეს მიწის საკითხის გადაჭრა.

**ნოე რამიშვილი** წინააღმდეგია ბლოკის შეკვრისა როგორც „მუსავატთან“, ისე დაშნაკცუთუნთან, საეჭვოა, რომ დაშნაკელები ზავის საკითხში ჩვენთან წამოვიდენ. ჩვენ მათ ვთვლით ნაციონალისტურ პარტიათ. მე არ ვიცავ არც „მუსავატს“. ჩვენ არ გვყავს მოკავშირენი. ს.-რევოლიუციონერები მპყრობელი ერის სულით არიან გაჟღენთილი. ჩვენი ამხანაგების გამოცდილებაზეა დამოკიდებული აიძულონ ისინი ჩვენთან იარონ. თუ მიიღებენ ჩვენს პროგრამას, ჩვენ ვიმუშავებთ მათთან, თუნდაც ისინი შოვინისტები იყვნენ, ვინაიდან არ არსებობს არა შოვინისტური პარტია, გარდა იმ პარტიისა, რომლის წარმომადგენლებს აქ მოუყრიათ თავი. (ტაში).

**მარკარიანი** წინააღმდეგია ეროვნულ საბჭოებისა.

**შარიფოვი** (მუსულ.) ამტკიცებს, რომ მუსულმანების მასსა არ მიყვება ბეგებს და თუ „მუსავატ“-მა არჩევნებში მიიღო ბევრი ხმა, ეს იმის მიზეზია, რომ არჩევნები არა ნორმალურ პირობებში სწარმოებდა. საჭიროა მუშაობა და მუსულმანთა მასსა ჩვენსკენ გადმოვაო.

**ბერიშვილის** აზრით ჩვენ დღემდისაც სწორათ ვმოქმედებდით, ყველაფერი აიხსნება არსებული პირობებით. ამ პირობების მიხედვით ჩვენ დღეს უნდა მოვიწვიოთ სეიმიო.

**ევგენი გეგეჭკორი** საპასუხო სიტყვაში ეხება აკ. ჩხენკელის აზრს მთავრობის შედგენის შესახებ და ამბობს, მე ვერ წარმომიდგენია ამიერ-კავკასიაში მთავრობა, რომელსაც მხარს არ უჭერს ჩვენი პარტია. შესაძლებელია ჩვენ მართლაც უმცირესობაში დავრჩეთ. მაშინ რევოლიუციის საქმე ამიერ-კავკასიაში საფრთხეში ჩავარდება. შეცდომა იქნებოდა ჩვენ რომ ეროვნულ საბჭოებისთვის ბრძოლა გამოგვეცხადებია, მაგრამ ასეთივე შეცდომა იქნება, თუ შემდეგში მათ უფლებებს არ განვსაზღვრავთ. ჩვენი პარტია ძლიერი იყო არა იმდენათ სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებით, არამედ თავის ინტერნაციონალიზმით. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ეს ინტერნაციონალური სახე (ტაში). ჩვენი ძირითადი ხაზი, ეს რუსეთის დემოკრატიასთან განუწყვეტელი კავშირია. ამ ერთიანობის დროშას ჩვენ გავატარებთ ანარქიის ქარცეცხლში (ტაში.) სრულიათ რუსეთის დამფუძნებელი კრება უნდა იქნას მოწვეული. სეიმი არსებობს მის მოწვევამდე. დამფუძნებელი კრება დაამტკიცებს სეიმის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს. და თუ იგი ჩვენს წინააღმდეგ წავიდა, ჩვენ მასაც გამოუცხადებთ ბრძოლას. (ხანგრძლივი ტაში.)

სხდომის დასასრულ არჩეულ იქნა სარეკომენდაციო კომისია, რომელსაც მიენდო სეიმის დეპუტატთა დამატებითი სიის შედგენა.

ვ. ალათიშვილი.

# სიმართლეს მოკლებული ხმები

უკვე გამოქვეყნებული იყო, რომ ამ ცოტა ხნის უკან თფილისში შესდგა „საგანგებო რაზმი“ თფილისის აღმასრულებელ კომიტეტის მუშ. და ჯარისკაცთა საბჭოსი, რომელიც მოწვეულია ქალაქში წესიერების დასამყარებლათ და ყოველგვარ შავრაზმელ-რეაქციონერების ასალაგმავათ.

სამწუხაროთ, რაზმის ჩამოსვლისთანავე გავრცელდა ხმები, ვითომც ჩვენ დაქირავებული ვიყვეთ და დღეში ოცი მანეთი სასყიდელი გვეძლეოდეს. ეს ხმები ქალაქში გავრცელდა უმეტესათ ჯარისკაცებში.

ეს ხმები, ვითომ ჩვენ დაქირავებული ვიყვეთ, სრულებით სიმართლეს მოკლებულია, შავრაზმელების და ბნელი ელემენტებისაგან მოჩმახული სიცრუეა. ჩვენ არავითარ სასყიდელს არ ვღებულობთ და არც არავისგან „დაქირავებულნი“ ვართ, როგორც ბნელი პირები ასეთ ხმებს ავრცელებენ ჩვენზე. ჩვენ მოვედით რევოლიუციის დასაცავათ და კონტრ-რევოლიუციონერებთან საბრძოლველათ.

ამხანაგებო ჯარისკაცებო! ეს ხმები ბნელი ელემენტებისაგან და შავრაზმელებისაგან მოჩმახული აგიტაციაა.

ამხანაგებო ჯარისკაცებო! ნუ აჰყვებით უჟუნურთა ფეხის ხმას! ერიდეთ არ წააწყდეთ მათ ხიფათიან ანკესს!..

ვარლამ ოფიშტიელი.

# გლეხთა წერილები

II

დიახ, წინა წერილში მოგახსენე იმისი არ იყოს, ჩემო რედაქტორო, საშინელი აზრთა არევ-დარევა ხდება და არ ვიცი რა იქნება. ვისაც რა უნდა ისა ქნას, მე კი ჩემი გულის ნადები გულახდილათ უნდა გითხრა.

მე, მართალია, უბრალო გლეხი ვარ, ჩვეულებრივი მიწის მუშა, მაგრამ გონებით მაინცა და მაინც უბადრუკი არ გახლავარ. წერა-კითხვა კარგათ ვიცი და ქართული ჟურნალ-გაზეთობა ბევრი მიკითხავს. ყველაზე საყვარელი მწერლები ჩემთვის არიან ნინოშვილი და მერე ნოე ჟორდანია. ნინოშვილის სახელის შებღალვა ჯერ არავის გაუბედნია, ტალახს ესვრიან ჟორდანიას და მეც მის შესახებ მინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვა.

დიდი ხანია ვკითხულობ მე მის ნაწერებს, „კვალის“ ერთგული მკითხველი გახლავართ და გულზე ხელის დადებით უნდა ვსთქვა, რომ ჟორდანიას ნაწერებში მე არაფერი ცუდი აზრი არ მინახავს. პირიქით, ყოველ ჰწკარში ის იცავს მუშა ხალხს და ებრძვის გლეხის მტერსა დ დუშმანს. მთელი თავისი სიცოცხლე და დაუღალავი კალამი ამ კაცმა ჩვენს სამსახურს, გლეხისა და მუშის ბედნიერებას შესწირა, დღე და ღამე ჩვენზე ფიქრობდა, ჩვენს განათლებაზე და გაცნობიერებაზე ოცნებობდა და ნუ თუ ახლა გვიღალატა? განა ეს დასაჯერებელია? არა, მე ვერ დავიჯერებ ამას!

მუშათა მთელ თაობას თვალები აგვიხილა, შეგვაგნებინა ჩვენი მდგომარეობა, დაგვრაზმა ნიკოლოზის მთავრობის ჩამოსაგდებათ, მედგრათ გაშალა ძმობა-ერთობის წითელი დროშა და დღეს, როცა მისმა საყვარელმა ხალხმა გაიმარჯვა, დღეს, როცა მტარვალები ძირს ყრიან დამარცხებულნი, აი ასეთ დღეს გვიღალატებს და გადაგვიდგება ჩვენ ნოე ჟორდანია? არა, მე არ დავიჯერებ ამას!

იქნებ ჟორდანია მარტო სიტყვით იყო ჩვენი, ჩვენ მხოლოდ გვეხმატკბილებოდა და საქმით კი სხვაგან იყო, ჩვენს მტრებს უმაგრებდა ზურგს?

— რისთვის სდევნიდა ნოეს ნიკოლოზის მთავრობა? რისთვის სვამდენ ციხეში, ასახლებდენ, არ ასვენებდენ? იმიტომ, რომ იგი არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც ჩვენი იყო, ჩვენ გვიცავდა, ჩვენთვის არ ზოგავდა თავს.

— ვინ ატარებდა ნახევრათ მშიერ ცხოვრებას, ვისი ცოლშვილი და ოჯახი იყო მუდამ აფორიაქებული და აწიოკებული? ნოე ჟორდანიასი, გიპასუხებთ.

და ეს იმიტომ, რომ მუშათა კლასის სამსახურისათვის მას გასაქანს არ აძლევდენ და ცდილობდენ სული ამოეხადათ.

დიახ, ეს ყველაფერი ასეა და მიკვირს, როგორ აძლევს სინდისი ვინმეს სთქვას—ნოე ჟორდანია ხალხის მტერია და ნუ გაჰყვებით მასო. კარგათ გავუსინჯოთ კბილი, ეგების თითონ ამისი მთქმელი არის ხალხის მტერი!

წერეთელი! კაკი წერეთელი! ეს ხომ სათაყვანო პიროვნებაა ჩვენთვის!

ჩვენ წერეთელს ვაფასებთ იმისათვის, რომ იგი შეუდრეკელი დამცველი არის საწყალი ხალხის, დაჩაგრული მუშის. ის ახალ-გაზრდობიდანვე ამოგვიდგა გვერდით და შეუდრეკლათ აიტანა ჩვენთვის გოლგოთაზე წამების ჯვარი. შვიდი წელიწადი ნიკოლოზის ჯალათებმა კატორღაში ამყოფეს, დღე ბორკილით დადიოდა და ღამით ბორკილებით იწვა. მისთვის არ იყო ცის სინათლე, წმინდა ჰაერი, მეგობრები, ტოლები. მოკუნტული იყო ციხის შავბნელ სეკრეტში და ოცნებობდა ჩვენზე, მხოლოდ ჩვენზე—საწყალ ხალხზე, დაჩაგრულ მუშებზე.

ჩვენ ვიყავით მისი სიცოცხლის იმედი, ნუგეში და სასოება, ჩვენზე ამოდიოდა მისი მზე და მთვარე... და განა დღეს, ამ ბედნიერ წამს გვეწირავს იგი? არა, ათასჯერ არა!

წერეთელი რომ მოღალატე ყოფილიყო, ნიკოლოზის დროს გვიღალატებდა, დაეცემოდა სულით, ჩაუვარდებოდა ფეხქვეშ ჯალათებს და იტყოდა:

— ჯანდაბას ხალხიცა და ყველაფერიც, ოღონდ ამ ციხეებიდან გამიშვით და არაფერი მინდა თქვენიო. დიახ, ასე ეტყოდა წერეთელი ნიკოლოზს და ბორკილებსაც ახსნიდენ. მარა ეს მან არ იკადრა, მუშა ხალხს არ უღალატა, ერთგული იყო და ერთგული დარჩა. და თუ იმ შავბნელ დროში არ გაგვექცა, იმ უბედურობის ხანაში არ გაგვწირა, განა დასაჯერებელია, რომ დღეს ჩაიდენდა ამას?

ვინც არის ამ სისაძაგლის გამავრცელებელი ხალხში, ვინც აგრე გვატყუებს მუშებსა და გლეხებს, ეგ ყველამ იცის, ეგ ჩვენი ბოლშევიკებია! აი ესენია, რომ ავრცელებენ ჭორებს ჩვენი ბელადების წინააღმდეგ, აი ესენია, რომ ტალახში უნდათ ამოსვარონ მენშევიკების პარტია და მისი წინამძღოლები.

რისთვის უნდა გაგვწიროს ჩხეიძემ? ჩინი უნდა თუ ორდენი? სამსახურში უნდა დაწინაურება თუ რა? ან ეგების ფულის შოვა უნდა?

და აი ასეთ კაცზე გვეუბნებიან—ის მატყუარაა და მოშორდითო.

ამასვე გეტყვით გეგეჭკორზე, ჩხენკელზე, რამიშვილზე და სხვებზე.

ესენი იყვნენ ჩვენი მელამპარენი შავბნელ ნიკოლოზის დროს, ამათ გამოგვიყვანეს სინათლეზე და ჩვენც მათთან უნდა დავიხოცოთ.

ნუ დაკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსაო,—უთქვამს ჩვენს ხალხს.

შენი ტყაპუჭიანი გლეხი.

# სოც.-დემ. პარტიაში

**თფილისი.** 2 თებერვალს სახალხო უნივერსიტეტის შენობაში გაიმართა თფილისის რ. ს. დ. მ. პ. ორგანიზაციის მეორე რაიონის წევრთა კრება. თავმჯდომარეობდა ამხ. კ. გვარჯალაძე, მდივნათ არჩეულ იქნა ამხ. თ. ხუხუნაიშვილი. კრებას დაესწრო საკმაო რიცხვი წევრებისა.

დღის წესრიგში დაისვა კითხვები: ამიერ-კავკასიის სეიმი და მისი დანიშნულება, ზავის საკითხი, სეიმის დამატებითი დეპუტატთა დასახელება, საგანგებოთ მოწვეულ პარტიულ საოლქო ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევა და სხვ.

ამიერ-კავკასიის სეიმისა და მის დანიშნულებაზე მოხსენება გააკეთა ამხ. მ. სმირნოვმა. მოხსენება მიღებულ იქნა მხედველობაში. ზავის საკითხზე მომხსენებლათ გამოვიდა ამხ. მ. რუსია. მცირე კამათის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „დამფუძნებელი კრების გარეკამ ამიერ-კავკასიის დემოკრატია მოსწყვიტა რუსეთის დემოკრატიას. საერთო დემოკრატიის მისწრაფებას—ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო ერთა თვითგამორკვევის ნიადაგზე—ჩასცეს სასიკვდილო ლახვარი. სახალხო კომისართა საბჭოს უკანასკნელმა დეკრეტმა, კიდე უფრო სახეში გაუტება დემოკრატიულ ზავის იდეას. ასეთი მდგომარეობის დროს ამიერ-კავკასიის დემოკრატია სდგას ოსმალეთის საზავო წინადადების წინაშე. ამიერ-კავკასიის სეიმი გამოდის რა დემოკრატიის ლოზუნგიდან: ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო ერთა თვითგამორკვევის ნიადაგზე, ოსმალეთთან ზავის შეკვრის დროს, მოქმედებს რუსეთის ყველა დემოკრატიულ-რევოლიუციონურ მთავრობებთან შეთანხმებით“. სეიმის დამატებითი დეპუტატთა დასახელება კრებამ თავის მხრივ მიანდო საოლქო ყრილობას.

ამის შემდეგ წაკითხულ იქნა კოლექტივისა და მცირე კოლექტივების წევრთა შეერთებულ კრებაზე შემუშავებული სია საოლქო ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატების კანდიდატებისა. კამათის შემდეგ კრება წაკითხულ სიას ღებულობს და კენჭის ყრით ირჩევენ დელეგატებათ შემდეგ პირებს: ამხ. მიხ. ტოროშელიძეს, ფ. ლორიას, მ. რუსიას, ი. ხელაძეს, კოვალევს და თ. ხუხუნაიშვილს. კანდიდატებათ: ნ. რუსიას, კაჭარავას დ ვასაძეს.

თედ. ხუხუნაიშვილი.

**ჭიათურა.** 29 იანვარს ადგილობრივ კლუბის დარბაზში შესდგა ჭიათურის ორგანიზაციის რ. ს. დ. მ. პარტიის წევრთა კრება. განიხილეს შემდეგი კითხვები: ამიერ-კავკასიის სეიმი და მისი მნიშვნელობა, ზავის საკითხი, მობილიზაცია და დელეგატის არჩევა ამიერ-კავკასიის საოლქო ყრილობაზედ გასაგზავნი. სეიმის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ზ. გურულმა. თავის სიტყვაში გაატარა საოლქო კომიტეტის შეხედულება. კამათის შემდეგ ამხ. ზ. გურულმა შემოიტანა რეზოლიუცია სეიმის შესახებ, რეზოლიუცია მიღებული თფილისის მთავარ სახელოსნოში, სადაც მიიღეს მენშევიკებისგან, შაუმიანის მოხსენების შემდეგ, სეიმის უპირველესი დანიშნულება იქნება შეადგინოს, რაც შეიძლება მაგარი მთავრობა და სხვადასხვა აუცილებელ რეფორმათა ცხოვრებაში გატარება, სრულის კანონმდებლობითი ფუნქციებით მანამდის, სანამდის რუსეთის დამფუძნებელი კრება შეიკრიბებოდისო, რაც შეეხება საბჭოებს და ცენტრს, ისინი რჩებიან თავის ალაგზე და უფრო უნდა გამაგრდენ და დარჩენ რევოლიუციის დარაჯათ, ამ რეზოლიუციას ყველა ეერთდება, მხოლოდ ამხ. კ. მოდებაძეს შეაქვს ცოტა შესწორება, სიტყვა დარაჯი იქნას ნახმარი კანტროლი. უყარეს კენჭი, 20 წინააღმდეგ დარჩა ისევ, სიტყვა დარაჯი. ზავის შესახებ მოხსენება გააკეთა ისევ ამხ. ზ. გურულმა. მიიღეს რეზოლიუცია: შევკრათ ზავი ოსმალეთთან.. მობილიზაციის საკითხი გადაიდო.

აქვსენტი ასკანელი.

# მუშათა შორის

**თფილისის დეპო.** 24 იანვარს თფილისის დეპოში მოხდა მუშა-მოსამსახურეთა კრება. მოხსენება გააკეთა თავმჯდომარე ამხ. სიხარულიძემ და გააცნო თფილისის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლიუცია ამიერ-კავკასიის სეიმის მოწვევის შესახებ. დიდი კამათის შემდეგ, რომელშიაც ბალშევიკებმაც მიიღეს მონაწილეობა, მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ რუსეთში ბალშევიკების მოქმედებამ ძმათა შორის სისხლის ღვრა გამოიწვია, რომ მათ ძალა იხმარეს და გარეკეს დამფუძნებელი კრება, ამიტომ ზიზღს და პროტესტს ვუცხადებთ მათ. და რადგან მათივე მოქმედებით ჩვენ დღეს დღეობით ჩამოვშორდით ცენტრს, იძულებული ვართ მოვიწვიოთ კავკასიის სეიმი, სანამ დამფუძნებელი კრება ისევ შეიკრიბებოდეს. სალამს ვუძღვნით კავკასიის სეიმს. ჩვენ არ გვსურს ზევიდან დანიშნული მთავრობა, როგორც ლენინის მიერ დანიშნული კომისარი შაუმიანი. გაუმარჯოს კავკასიის სეიმს და მის მიერ შექმნილ ძლიერ სოციალისტურ მთავრობას.

დეპოს მუშა ციმბირელი.

**ჭიათურა.** არ იქნა და არა, ჭიათურის წარმოება ნორმალურ კალაპოტში არ ჩადგა, რომ დღიურ მუშას, რომელიც მისჩერებია ამ ჯურღმულებში მუშაობას ოდნავ გაეუმჯობესებია ცხოვრება. როგორც ვიცით ჭიათურის შავი ქვის ბაზარი ევროპა იყო, მაგრამ ამ უმაგალითო ომმა ყოველივე არივ დარია და ამ მხრივ ჭიათურაც, როგორც სამრეწველო დარგი მოკვდა. აყარებელი მუშები ზოგი ომში გაიწვიენ და ზოგიერთებმა კიდევ სხვადასხვა ქალაქებს მიაშურეს, ომის დაწყებიდან გადის რამდენიმე წელი და ჭიათურასაც პატარა ბედმა გაუღიმა და რუსეთმა, რომელსაც არ ქონდა სათანადო ყურადღება მიქცეული, სამხედრო საჭიროებისათვის ქვის გაზიდვა დაიწყო. ამუშავდა ქარხნები და მუშაობასაც არა უშავდა, ეს იყო კიდევ რამდენიმე ხნის განმავლობაში და ბოლოს, კიდევ ბედმა მუშები უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო, რადგანაც რკინის გზის სამმართველომ ისეთი ფრახტი დაადვა, რომ მრეწველობამ ვერ შესძლო ეს ზედმეტი ფრახტის გადახდა, რადგანაც გადაზიდვას, თითო ვაგონზე ჭიათურიდან ახ მანეთამდის მიუმატეს. გაჩერდა კვლავ წარმოება და მუშები უმუშევრათ დარჩენ, და არ იციან, როდის გაიღიმებს ბედი. აი ასეთი მდგომარეობაა დღეს ჭიათურაში. ლამის არის შიმშილობა დაიწყოს.

ა. მეგრელაძე.

# პროვინცია

**ხიდისთავი** (გურია). 11 იანვარს ხიდისთავის პირველ დაწყებით სასწავლებლის გამგეს მიერ მოწვეულ იქნა ამ სკოლის მოწაფეთა მშობლების კრება. კრების მიზანი იყო მშობელთა წრის დაარსება და სკოლის პედაგოგიურ საბჭოში მშობლებლთაგან მუდმივ წარმომადგენლების არჩევა. კრებამ მოისმინა გამგის მოხსენება სკოლის და ოჯახის დაკავშირების შესახებ და გამოსთქვა სურვილი, რომ საზოგადოება ფართეთ ისარგებლებს მონაპოვებ თავისუფლებით და ახალგაზრდათა აღზრდის საქმესაც დემოკრატიულ პრინციპებს დაუდებს საფუძვლათო. ერთი ასეთ ზომათაგანია—სკოლა დაუახლოვდეს ოჯახს და ამიერიდან მაინც შევეცადოთ ამის სისრულეში მოყვანაო. კრებამ აირჩია ხუთი კაცი სკოლის პედაგოგიურ საბჭოში: ს. რამიშვილი, მ. თედორაძე და ს. შონია; კანდიდატებათ: ე. ფოცხიშვილი და ზ. ანთაძე.

12 იანვრის ადგილობრივ კოლექტივის კრებამ გადასწყვიტა აქაურ სამიკიტნოებში აკრძალოს ყოველგვარ მაგარ სასმელების გაყიდვა. სამიკიტნოები მანამ ვერ ივაჭრებენ, სანამ იქიდან არ იქნება გატანილი ყოველგვარი სასმელები. ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს, სავაჭროს დაუკეტავენ. ეს დადგენილება საჩქაროდ სისრულეში მოსაყვანათ გადაეცა ადგილობრივ რევოლ. აღმ. კომიტეტს. ამიერიდან ბოლო მოეღება ყოველგვარ უწესობას ხიდისთავის ბაზარში. აღარ გავიგონებთ მთვრალების უშვერ ლანძღვა-გინებას და რევოლვერის წამ და უწუმ სროლას.

ხიდისთაველი.

**ახალქალაქის რაიონი** (გორის მაზრა). რევოლიუციის პირველ დღეებიდან გორის მაზრაში შესდგა გლეხთა საბჭოები და გლეხთა აღმასრ. კომიტეტი, რომელთა მეთაურობით და ხელმძღვანელობით სწარმოებდა, როგორც საერთო რევოლიუციონური წესრიგის დაცვა მთელს რაიონში, ისე შინაური სამოქალაქო მართვა-გამგეობის საქმეც. რადგან მოსალოდნელი იყო აგრარულ ნიადაგზე ექსცესები, ხსენებულმა ორგანოებმა თავიდგანვე გაუწიეს ანგარიში მიწით სარგებლობის საქმეს და შედარებით არა სასიამოვნო მოვლენა აგრარულ სფეროში თავიდან აცილებულ იქმნა. საზოგადოთ მიწის საკითხში საბჭოებმა და აღმ. კომიტეტებმა მიიღო ასეთი გადაწყვეტილება: გლეხებს უნდა მიეცათ დიდ მემამულეებისთვის მეათედი, ვისაც ორმოცი დღიურზე მეტი მიწა ქონდა მერვედი, ხოლო ორმოც დღიურზედ მეექვსედი და შემდეგ მეხუთედი. მეოთხედი წვრილ მამულებისთვის. თუმცა ზოგიერთა მემამულეებმა სცადეს ამნაირი დადგენილების წინააღმდეგობის გაწევა და უთითებდენ დამფუძნებელ კრებისათვის მოეცადნათ, მაინც ისინი ბოლოს იძულებული გახდენ დათანხმებოდნენ გლეხთა სამართლიან მოთხოვნას და ამ ნიადაგზე გლეხთა და მემამულეთა შორის დამოკიდებულება არ დარღვეულა. კერძო საკუთრების სფეროში არავითარ მითვისება-ჩამოთმევას მემამულეთა მიწებისას არ ქონია ადგილი, რადგან გლეხებს მოწინავე პირთაგან ქონდათ გადაცემული, რომ მიწის საკითხს მხოლოდ დამფუძნებელი კრება გადასწყვეტს საბოლოოთ. რადგან ამ რაიონში აუარებელი ტყეებია, ფაქტიურათ ტყით სარგებლობის საქმის მოწესრიგება და მართვა-გამგეობა საბჭოებმა და აღმ. კომიტეტებმა იკისრეს. ტყეების გაჩეხის დ განადგურების თავიდგან ასაცილებლათ გამომუშავებულია ზომები და ტყეებს მიჩენილი ყავთ დარაჯები, რომლებიც რაიონის აღმ. კომიტეტის ხელმძღვანელების და კანტროლ ქვეშ იმყოფებიან. დაარსებულია რაიონის მომრიგებელი კამერა, რომლის საშვალებით გამომუშავებულ იქნა ტყით სარგებლობის წესი და განსაზღვრულია გადასახადის ნორმის რაოდენობა: საამშენებლო მასალის სარგებლობის უფლება ეძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის აუცილებელი საჭიროა. დაწესებულია განსაზღვრული გადასახადი ფიცარზე 20 კ. ურემ შეშაზე 30 კ.—20. საიარაღო მასალაზე 1 მ. 50 კ. სახელმწიფო საჭიროებისათვის ტყის მასალის გამოტანის უფლება ეძლევა იმ პირთ, ვინც მოწმობას წარმოადგენს სათანადო დაწესებულებისაგან, რომ მას სამხედრო საჭიროების საქმისთვის მიაქვს ეს მასალა. ტყით სარგებლობა ხდება განსაზღვრულ ბარათებით, რომელსაც თვითეული სოფლის კომიტეტი აძლევს გლეხებს განსაკუთრებულ სატყეო წიგნაკებიდან. ამნაირათ შეგროვილი ფული, ხარჯების გამოკლებით ინახება სარაიონო სატყეო კასაში. ტყის მცველებს და სხვა სატყეო ხარჯებს ეს ფული ისტუმრებს.

ამნაირათ სარგებლობის წესს რაიონის გლეხკაცობა სავსებით შეეჩვია და წესრიგის დარღვევას ადგილი არ აქვს. გამონაკლისი ძლიერ იშვიათია.

საერთოთ გლეხკაცობის რევოლიუციონური დარაზმვა-შეკავშირების საქმეში და რევოლიუციონურ ორგანიზაციების მოწყობის საქმეში არა მცირედი ღვაწლი მიუძღვით აქაურ მოწინავე პირებს, რომელთა ინიციატორობით და ხელმძღვანელობით მიმდინარეობს ამ რაიონის რევოლიუციონური პროცესი. არც ერთი რევოლიუციის მიერ წამოყენებული საკითხი უყურადღებოთ არ არის მიტოვებული, რომ სახალხო კრებებზე და მიტინგებზე არ ყოფილიყვეს გამოტანილი შესაფერი გადაწყვეტილებების მიღებით ხალხის მხრივ. აქაური საზოგადოების კომისარები შეძლებისდაგვარათ უძღვებიან მათ მიერ დაკისრებულ საქმეს და დღემდე პირნათლათ ემსახურებიან ხალხის და რევოლიუციის ინტერესებს თუმცა მატერიალური მხრივ დიდ გაჭირვებას განიცდიან, რადგან მათ მთავრობის მხრივ არავითარი ჯამაგირი არ ეძლევათ და ხალხი კიარას იხდის მათ საარსებოთ ან თუ ზოგიერთ ალაგას იხდიან, ისიც ძალიან მცირედს.

გ—ი.


სამკურნალო კაბინეთი
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის
**კეკელიასი**
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი
**გ. დონხინი**
ყოფილ სასსისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს
თვალის ტკივილებით ავადმყოფებს, დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

ექიმი ქალი
**რ. გ. შიოლო-საგაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

**ექიმი გ. გ. მუხაძე**
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

**ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე**
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნავი კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის
**გ. გ. მეზრაბიანცისა**
შინაგან ავათმყოფობათა სპეციალისტი. მიიღებიან გულისა და ჭლექით დაავათმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მშრალი ჰაეროვანი ვანები, პნევმოტორაქსი, დ'რსენეალისა ტოკი და სხვა. რენტგენო-ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ჩაწერით. ავათმყოფები მიიღებიან ყოველ-დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და საღამოს 5 საათ.—7 საათამდე. კვირაობით კი დილის 9 საათ. ადრესი: ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფონი 7—92.

ექიმი
**დ. ი. ჟორდანია**
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრაპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე).


**ჩვენი ხალხის საყურადღებოთ**
**ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლათ**
მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში (ფრეილინის ქუჩა, № 11 საკუთარი სახლი) დილის 11-დან 3 საათამდე.

**კოოპერატივებო და კოოპერატორებო,**
**დაეხმარეთ საქართველოს ეროვნულ საბჭოს ფულის მოგროვებით, ყოველმა კოოპერატივმა წმინდა მოგებიდან უნდა გადასდოს ნაწილი საბჭოსათვის.**
საქართველოს ეროვნულ საბჭოს საფინანსო სექცია.
ამიერ-კავკასიის საკოოპერაციო კავშირი.


Во вторник 6 февраля вышел первый номер соціал-демократической газеты

# „БОРЬБА“

В газетѣ принимают участіе: А. Азатян, Воевада, Гальперин, Гепштейн, проф. Городенскій Н. Жордянія, И. Жорданія, Ишков, Г. Коніев, Кремер, Козлов, Л. Натадзе, Н. Рамишвили, М. Смирнов, Трейман, А. Туманов, Успенская, Н. Цинцадзе, К. Чхеидзе, Д. Шарашидзе и др.

Подписка принимается в конторѣ газеты: пассаж Манташева (Дворцовая площадь, против штаба) а также въ Тифлиском комитетѣ Р. С.-Д. Р. П. (Головинскій 12 во дворѣ) и во всѣх районных коллективах.

Подписная цѣна: 1 год—40 р., 6 мѣс.—21 р. и 1 мѣс.—4 р.


მსწრაფელ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.